აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 102-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№8 (25.032) ხუთშაბათი, 26 - 27 იანვარი, 2023 წ. 50 თეთრი

ბარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 12-17, შიდამთიან რაიონებში - 8-13 გრადუსი სითბო, მაღალ მთაში - 3-8 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 10 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 769 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

კრიალოსა N იუსი

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, გაიყვანოს ჯარები საქართველოდან. რეზოლუციაში, რომელიც ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო, ასევე მკაფიოდ წერია, რომ ქმედებები უკრაინის წინააღმდეგ იმ პოლიტიკის ნაწილია, რომელსაც რუსეთი 2008 წელს საქართველოს წინააღმდეგ ატარებდა. ცვლილებების ინიციატორი საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია იყო. ქართველი კანონმდებლების მოსაზრება და ჩანაწერი რეზოლუციის პირველივე პარაგრაფშია შეტანილი. რეზოლუცია მაისისთვის დაგეგმილ რეიკიავიკის სამიტს უკავშირდება, რომელიც მთავრობისა და სახელმწიფოს მეთაურების დონეზე გაიმართება.

* * *

საქართველოს პრემიერ-მინისტრი დაზვერვის სამსახურის უფროსს შეხვდა. შალვა ლომიძემ ირაკლი ღარიბაშვილს სამსახურის საქმიანობის 2022 წლის ანგარიში წარუდგინა. პრემიერ-მინისტრმა და დაზვერვის სამსახურის უფროსმა განიხილეს 2023 წლის გეგმები და სამსახურის განვითარების პრიორიტეტები. მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე მიმოიხილეს აგრეთვე რეგიონში არსებული გეოპოლიტიკური ვითარება და უსაფრთხოების კუთხით არსებული გამოწვევები.

* * *

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის ნიკა მელიას განცხადებით, შიდაპარტიულ არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივნის თანამდებობას ბათუმის ორგანიზაციის თავმჯდომარე გიორგი კირთაძე დაიკავებს. მისივე თქმით, გიორგი კირთაძე ქართულ პოლიტიკურ სპექტრში გამორჩეული ფიგურაა. „დარწმუნებული ვარ, ეს გახდება საწინდარი მომავალი გამარჯვებისა არა მხოლოდ ჩვენი პოლიტიკური პარტიისთვის, არამედ ქვეყნის მოსახლეობის საკეთილდღეოდ“, - აღნიშნა ბრიფინგზე ნიკა მელიამ.

* * *

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო სოჭის საზღვაო ნავსადგურის გენერალური დირექტორის იური ვლადიმეროვის განცხადებას ეხმაურება, რომელიც იმედოვნებს, რომ აფხაზეთსა და საქართველოში სამგზავრო ტრანსპორტირება ამოქმედდება, ამ ეტაპზე კი მოლაპარაკებები მიმდინარეობს. სააგენტოს განცხადებით, რუსულ მხარეს საზღვაო სამგზავრო მიმოსვლის თაობაზე ქართული მხარისთვის არ მიუმართავს და უცნობია, რა მოლაპარაკებებზე საუბრობს სოჭის პორტის ადმინისტრაცია.

მოამზადა
ია შველიძემ

ბათუმის საკრებულოს სხდომათა დარბაზში ლუკა ასათიანის პორტრეტი განთავსდა

მანანა ტაკიძე 593 10 15 17

ლუკა ასათიანის ქალაქისთავად არჩევის დღის აღსანიშნავად, 25 იანვარს ბათუმის საკრებულოს სხდომათა დარბაზში ღირსეული მამულიშვილის პორტრეტი განთავსდა. იგი ბათუმელმა მხატვარმა, ბათუმის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული განვითარების სამსახურის თანამშრომელმა ელგუჯა ხაზარაძემ შეასრულა და მუნიციპალიტეტს საჩუქრად გადასცა

როგორც მან აღნიშნა, ეს მისთვის დიდი პასუხისმგებლობა და პატივი იყო.

- ვინაიდან ამ უდიდესი პიროვნების მხოლოდ ერთი ფოტოა შემონახული, ისიც ძალიან უხარისხო, დიდი შრომა მოვანდომე მის შექმნას. მგონი, გამომივიდა. ბედნიერი ვარ, რომ ჩემი მცირედი წვლილი შევიტანე ლუკა ასათიანის ღვაწლის დაფასებაში, - აღნიშნა ელგუჯა ხაზარაძემ.

ლუკა ასათიანმა უდიდესი კვალი დატოვა ჩვენი ქალაქის ისტორიაში. მის ღვაწლსა და საქმეებზე ისაუბრეს საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძემ და მერის მოადგილე ლევან დავითაძემ. როგორც მათ აღნიშნეს: „25 იანვარი არის მნიშვნელოვანი დღე ბათუმის ისტორიაში. სწორედ ამ დღეს, 128 წლის წინ, ბათუმმა აირჩია პირველი ქალაქისთავი ლუკა ასათიანი. ფაქტობრივად, არ ყოფილა რომელიმე სფერო, რომელზეც მას არ ეზრუნა. დიდია მისი ღვაწლი ბათუმის განაშენიანების საქმეში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქალაქის მიმდებარე ტერიტორიებზე ჭაობის ამოშრობა, კაპიტალურად გაყვანილი სანიაღვრე არხები (მათ შორის, ე. წ. ჟილინისა და ივანოვის არხები), რომლებმაც მთელი ქალაქი გადაკვეთა. პარალელურად წარმოებდა ქალაქის დადაბლებული ადგილების ხრეშითა და გრუნტით მოზვინვა. ყოველივე ამან განაპირობა ჭაობიანი ადგილების დაშრობა და მეტად საშიში ავადმყოფობის - მალარიის მოსპობა. შედეგად შესაძლებელი გახდა ახალი ქუჩების გაყვანა და ნაწილის კეთილმოწყობა. ლუკა ასათიანის პირადი ინიციატივით დაიწყო ბათუმის საბჭოს შენობის მშენებლობა, რომელშიც ამჟამად მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობაა განთავსებული. მისივე მმართველობის პერიოდშია აშენებული ახლანდელი რესპუბლიკური საავადმყოფო, რომელიც აჭარის მოსახლეობას დღესაც ემსახურება. ლუკა ასათიანი ილია ჭავჭავაძესთან ერთად, დიდ ყურადღებას უთმობდა ბათუმში განათლების აღმავლობის საქმეს. მისი ინიციატივით, უმოკლეს ვადაში ყველა ეროვნებისათვის მათ ენაზე დაწყებითი კლასები გაიხსნა. ეს იყო ადამიანი, რომელსაც მადლიერი შთამომავლობა დღესაც ბათუმის ჭეშმარიტ მოურავად, ბათუმის მოჭირნახულედ, დამაშვრალ მოღვაწედ, სიკეთის მთესველ ლუკად მოიხსენიებს“.

- პორტრეტის ამ დარბაზში განთავსების იდეა წლების წინ დაიბადა, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო, ვერ განხორციელდა - კოვიდპანდემიამ შეგვიშალა ხელი. დღეს ლუკა ასათიანის პორტრეტმა იქ დაიდო ბინა, სადაც მისი ადგილია. 25 იანვარი სიმბოლურად ავირჩიეთ, სწორედ ამ დღეს გახდა ის ქალაქისთავი. იდეის ავტორი გახლდათ საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ლელა ნემსაძე, ჩვენმა თანამშრომელმა კი სრულიად უსასყიდლოდ გადმოგვცა პორტრეტი, რომელიც დღეიდან ამ დარბაზს დაამშვენებს, - განაცხადა ბათუმის საკრებულოს პროტოკოლის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა სულხან დევაძემ.

ოპოზიციამ საგანმანათლებლო კომპლექსის მუნიციპალური მნიშვნელობის პროექტად მიჩნევა გააპროტესტა 2

პოსტსაბჭოთა ქვეყნებმა უნდა გადაწყვიტონ, რომელ ბანაკში იქნებიან 3

ბათუმს ბავშვზე მორგებული ქალაქის კანდიდატის სტატუსი მიენიჭა 2

«ენმ»-ის თავმჯდომარის არჩევნებამდე სამი დღე რჩება 4

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

აჭარა 101

ოპოზიციამ საგანმანათლებლო კომპლექსის მუნიციპალური მნიშვნელობის პროექტად მიჩნევა გააპროტესტა

მანანა ტაკიძე 577 10 15 17

ლუკა ასათიანის ქალაქისთავად არჩევის დღის აღსანიშნავად ბათუმში ღონისძიებები ყოველწლიურად გაიმართება. საკრებულოს წევრებმა, გუშინ გამართულ სხდომაზე, დადგენილების პროექტს, რომელიც ყოველი კალენდარული წლის 25 იანვარს, გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწის ლუკა ასათიანის ბათუმის პირველ ქალაქისთავად არჩევის დღესთან დაკავშირებით შესაბამისი ღონისძიების გამართვას ითვალისწინებს, მხარი ერთხმად დაუჭირეს

სხდომას, პროტესტის ნიშნად, არ ესწრებოდნენ პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრები.

გუშინ მიღებული გადაწყვეტილებით, ცვლილებები შევიდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხასა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ განკარგულებებში.

ბათუმში, ვახტანგ შამილაძის ქუჩის №30-ში მდებარე შპს „ქართულ-ამერიკული აკადემია პროგრესის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 05.26.28.053) მშენებარე საგანმანათლებლო კომპლექსის მუნიციპალური მნიშვნელობის პროექტად მიჩნევის თაობაზე განკარგულების პროექტი დეპუტატებს მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა მამუკა რამიშვილმა გააცნო. როგორც მან აღნიშნა, პროექტის მიხედვით, მშენებლობის ნებართვის მფლობელი პირის ინტერესია, ხელშემწყობი ღონისძიების ფარგლებში მშენებარე ობიექტს მიენიჭოს განსაკუთრებული მუნიციპალური ობიექტის სტატუსი. საპროექტო წინადადება მოიცავს მხოლოდ დადგენილი სიმაღლისა და სართულიანობის გაზრდას და აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, კერძოდ, ფუნქციური ზონის მოთხოვნებს, მიჯნის ზონებისა და სიმაღლის განსაზღვრის სქემებს და სხვა, რაც არ აუარესებს ადამიანთა საცხოვრებელი და სამუშაო გარემოს სანიტარიულ-ჰიგიენურ მდგომარეობას. პროექტის კორექტირება მოიცავს სკოლის შენობის გარკვეულ ნაწილზე 1 სართულის დამატებას და მასში ადმინისტრაციული სივრცეების განთავსებას, რის შედეგადაც ქვედა სართულებზე გამოთავისუფლდება ადგილი სასწავლო და პრაქტიკული გაკვეთილებისა და სხვა საგანმანათლებლო სივრცეებისთვის.

პარტია „საქართველოსთვის“ წევრ აკაკი გვიანიძისთვის მიუღებელი აღმოჩნდა უკვე აშენებული სართულის დაკანონება. როგორც მან აღნიშნა, ხდება უკანონო დაშენების „გაპრავება“ და მსგავსი ფაქტები ქალაქში მრავლადაა. დეპუტატმა მერიას, რომელსაც მისი თქმით, მხოლოდ ნოტარიუსის ფუნქცია აქვს, მსგავსი დარღვევების გაკონტროლება და აღმოფხვრა ურჩია. მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის მამუკა რამიშვილის განცხადებით კი საქმე ეხება ბავშვებს, სკოლამდელ აღსაზრდელებს, მოსწავლეებს და სწორედ ამ ფაქტორის გათვალისწინებით მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილებაც.

- რადგან მომავალ თაობას ეხება საქმე და მათ სწავლა-განათლებას ექცევა უპირველესად ყურადღება, მივიღეთ ეს გადაწყვეტილება. მოქმედი კანონმდებლობა უშვებს იმას, რომ თუ მშენებლობა, რომელიც უნებართვოდ მიმდინარეობდა, კანონმდებლობაში ჯდება, ჯარიმის გადახდის შემთხვევაში, თუ ის აკმაყოფილებს რეგულაციებს, შეიძლება გაიცეს მშენებლობის ნებართვა. ეს არის კანონმდებლობით დაშვებული. ამ საქმეზე წარმოება უკვე დაწყებულია, - განაცხადა მამუკა რამიშვილმა.

ბათუმის საკრებულომ გუშინ დღის წესრიგით გათვალისწინებულ ოთხ საკითხზე იმსჯელა და დაამტკიცა.

ბათუმს ბავშვზე მორგებული ქალაქის კანდიდატის სტატუსი მიენიჭა

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

ბათუმის ვიცე-მერმა ლევან დავითაძემ და მერის მოადგილე ლელა სურმანიძემ საქართველოში UNICEF-ის წარმომადგენელ ღასან ხალილთან შეხვედრა გამართეს, სადაც მათ ბათუმის, როგორც ბავშვზე მორგებული ქალაქის კანდიდატის სტატუსის მინიჭების თაობაზე სერტიფიკატი გადაეცათ

- ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია უკვე წლებია თანამშრომლობს გაეროს ბავშვთა ფონდთან სხვადასხვა მიმართულებით. 2020 წელს ხელი მოეწერა მემორანდუმს ბათუმის მუნიციპალიტეტსა და იუნისეფს შორის ბავშვის მიმართ კეთილგანწყობილი ქალაქების ინიციატივასთან მიერთების შესახებ. ამ მიზნის მისაღწევად მუნიციპალიტეტში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფისა და იუნისეფის წარმომადგენლების თანამშრომლობის შედეგად მუნიციპალიტეტში შემუშავდა სტრატეგია და 2022-2025 წლების სამოქმედო გეგმა. დღეს ბათუმმა მიიღო ბავშვზე მორგებული ქალაქის კანდიდატის სტატუსი, რაც ერთობლივი მუშაობის შედეგია. იმედი მაქვს, ბათუმი უახლოეს მომავალში იქნება პირველი ქალაქი საქართველოში, რომელიც მიიღებს ბავშვზე მორგებული ქალაქის სტატუსს, - აღნიშნა მერის მოადგილე ლელა სურმანიძემ.

ღასან ხალილმა ბათუმის მუნიციპალიტეტს ბავშვზე მორგებული ქალაქის კანდიდატის სტატუსის მიღება მიულოცა. მისი თქმით, ეს სტატუსი ბათუმის მერიამ დაიმსახურა იმ აქტივობებისა და აუცილებელი მოთხოვნების შესრულების შედეგად, რომლებიც გაწერილია ინიციატივის ფარგლებში.

„ჩვენ მხარს ვუჭერთ ბათუმის მუნიციპალიტეტს ამ მიმართულებით და ეჭვი არ გვეპარება, რომ ისინი განაგრძობენ მუშაობას ბავშვზე მორგებული ქალაქის სერტიფიკატისა და ამ წოდების მისაღებად“, - განაცხადა ღასან ხალილმა.

მოგვიანებით მათ მერიის ახალგაზრდულ ცენტრში მრავალფუნქციური სივრცე დაათვალიერეს, რომელიც ბავშვზე მორგებული ქალაქის პროექტის ფარგლებში მოეწყო. აღნიშნული სივრცე, UNICEF-ის მხარდაჭერით, ბავშვების შეხვედრებისა და დისკუსიების მოწყობის მიზნით შეიქმნა.

ბათუმის მერიასა და გაეროს ბავშვთა ფონდს შორის 2020 წელს გაფორმდა მემორანდუმი, რომელიც მიზნად ისახავდა ბავშვზე მორგებული ქალაქების ინიციატივაში ჩართვას. მემორანდუმის ფარგლებში დაიწყო თანამშრომლობა ბავშვზე მორგებული ქალაქის სტრატეგიული ჩარჩოსა და ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად, ჩატარდა არაერთი კვლევა და ანალიზი, შეიქმნა „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის UNICEF-ის ბავშვზე მორგებული ქალაქის ინიციატივაზე მიერთების“ სამუშაო ჯგუფი, რომელმაც, იუნისეფის წარმომადგენლების ჩართულობით, იმუშავა სტრატეგიული ჩარჩოსა და სამოქმედო გეგმის მიმართულებებისა და ღონისძიებების განსაზღვრაზე.

ბათუმის №30 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნენ

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე, განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრ მაია ხაჯიშვილთან ერთად, ბათუმის N30 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო

400 მოსწავლეზე გათვლილი სკოლა გონიოს დასახლებაში მდებარეობს და მოსწავლეების მიღებას ახალი სასწავლო წლიდან შეძლებს.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს შენობის ფასადის და შიდა სარემონტო სამუშაოები, სრულად კეთილმოეწყობა სკოლის ტერიტორია, სკვერი და ღია სპორტული მოედანი.

უკვე გამოიცვალა შენობის სახურავი, მოეწყო პანდუსები და ადაპტირებული სველი წერტილები.

2023 წელს აჭარის მთავრობის ბიუჯეტიდან, განათლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, 25 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯება, აშენდება ახალი და რეაბილიტირდება 92-ზე მეტი სკოლა.

სკოლის რეაბილიტაციის პროცესს მთავრობის თავმჯდომარესთან და მინისტრთან ერთად მინისტრის მოადგილე ჯემალ სურმანიძე და აჭარის მთავრობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი თინათინ ზოიძე გაეცნენ.

რექტორის ბიუსტი დაიდგა

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში პირველი რექტორის ხუსეინ ნაკაიძის ბიუსტი დაიდგა.

ღონისძიებაზე ვრცლად ისაუბრეს ხუსეინ ნაკაიძის სამწლიანი (1935-1938) მოღვაწეობის პერიოდზე, იმაზე, თუ რა წვლილი მიუძღვის მას ბათუმის ინსტიტუტის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

აღსანიშნავია ის ტრაგიკული ბედი, რომელც ხუსეინ ნაკაიძეს ერგო - პირველი რექტორი ინსტიტუტის მხოლოდ პირველ გამოშვებას დაესწრო, რადგან საბჭოთა რუსეთის რეპრესიებმა შეიწირა. იგი 1938 წელს „მავნებლის“, „ხალხის მტრის“ ბრალდებით აუდიტორიიდან გაიყვანეს და დახვრიტეს. საარქივო წყაროების მიხედვით, ხუსეინ ნაკაიძის ზრუნვის არეალი ვრცელი იყო: სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შექმნა, სასწავლო პროცესის გამართვა, ფაკულტეტებისა და კათედრების ჩამოყალიბება, პროფესორთა მოწვევა, სამეცნიერო საქმიანობის ორგანიზება, სტუდენტთა სამეცნიერო წრეების შექმნა, სწავლების, სწავლისა და სამეცნიერო მუშაობის შედეგების შეჯამება-განხილვა, სასწავლებლის განვითარებასა და წინსვლაზე ზრუნვა, ბიბლიოთეკისა და შენობის მოწესრიგება, ეზოსა და სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის კეთილმოწყობა. განსაკუთრებით გულშემატკივრობდა სტუდენტებს, ინტერესდებოდა მათი ცხოვრების პირობებით, კვებით, ჯანმრთელობით, ბევრს მატერიალურად უმართავდა ხელს. ხშირად სტუმრობდა იმხანად ინსტიტუტის ეზოში განთავსებულ სტუდენტთა ქსენონს და მათთვის საკვები და წამლები მიჰქონდა.

ბათუმის ინსტიტუტის პირველი გამოშვება 1937 წლის 22 ივნისს შედგა. პირველი დიპლომი მიიღო 158-მა კურსდამთავრებულმა. ეს იყო უმნიშვნელოვანესი დღე ხუსეინ ნაკაიძის ცხოვრებაში და მისი თავდაუზოგავი შრომის შედეგი.

ხუსეინ ნაკაიძე დაიბადა 1905 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბანში. იგი ადრე დაობლდა და იზრდებოდა დედის ბაბუის - დიდი მამულიშვილის, ილია ჭავჭავაძის თანამოაზრის გულო კაიკაციშვილის ოჯახში.

ხუსეინ ნაკაიძე 1913 წელს მიაბარეს ქობულეთის ორკლასიან სასწავლებელში. 1914 წელს, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ინიციატივით, ცნობილი მეცენატი ძმების - ზუბალაშვილების სტიპენდიით ხუსეინ ნაკაიძე ჩაირიცხა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, 1918 წელს ის გადმოიყვანეს ბათუმის ქართულ გიმნაზიაში. 1924 წელს, ბათუმის ჰუმანიტარული ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ, ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტი 1929 წელს დაამთავრა. მუშაობდა პედაგოგიური სასწავლებლის დირექტორად, აჭარის სახალხო განათლების კომისრად, კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების კომიტეტის თავმჯდომარედ. 1935 წელს დაინიშნა ახლად გახსნილი სამასწავლებლო ინსტიტუტის დირექტორად.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებმა უნდა გადაწყვიტონ, რომელ ბანაკში იქნებიან

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

მსოფლიოს ახალი წესრიგი სხვადასხვა კონფლიქტის შედეგად რომ ყალიბდებოდა, არახალია. ასე იყო პირველი და მეორე მსოფლიო ომების შემდეგ. გარკვეულწილად, საბჭოთა კავშირის დაშლამ განაპირობა საერთაშორისო არენაზე სხვადასხვა აქტივობა ევროკავშირისა და ჩინეთის მხრიდან. მსგავსი სურათია ახლაც



უდავოა, რომ რუსეთ-უკრაინის ომის შედეგი მნიშვნელოვნად შეცვლის ევროპის და, მით უმეტეს, პოსტსაბჭოთა ქვეყნების მომავალს. ცხადია, ეს ომი არის ცივილიზაციების ომი, ერთ მხარეს არიან და იქნებიან დემოკრატიული ქვეყნები, მეორეზე - ავტორიტარული სახელმწიფოები. პოსტსაბჭოთა ქვეყნებმა უნდა გადაწყვიტონ, რომელ ბანაკში იქნებიან. სწორედ მათი არჩევანი განსაზღვრავს მათ მომავალს. თანამედროვე პერიპეტიებს თუ გავითვალისწინებთ, აშკარაა, რომ დღეს მსოფლიო ერთცენტრისტული არ არის. იკვეთება რამდენიმე პოლუსი, ერთი - აშშ-ისა და ევროკავშირის, მეორე - ჩინეთის სახით. ასევე, რეგიონალურ ლიდერებად მოგვევლინნენ თურქეთი, ინდოეთი და ბრაზილია. რაც შეეხება რუსეთს, 24 თებერვლამდე, ანუ რუსეთ-უკრაინის ომამდე, იგი მიზეზი აქვს. 90-იანი წლების დასაწყისში დამთავრდა ცივი ომი, ჩამოყალიბდა ახალი სუვერენული სახელმწიფოები. ერთი პერიოდი მოსკოვი ითვალისწინებდა დასავლეთის პოზიციას, თუნდაც აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიის რესპუბლიკების ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, მაგრამ 2000 წელს კრემლში პუტინის ერა დაიწყო, რომელმაც კვლავ იმპერიული სულისკვეთება გააღვივა ამ ქვეყანაში.

რატომ მოქმედებს კრემლი ამგვარად, პოლიტოლოგები შემდეგნაირად ხსნიან: „რუსეთის აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებისთვის დაუშვებელია პოსტსაბჭოთა ქვეყნების დამოუკიდებლობა, მათი ლოგიკით, კრემლის დამსახურებაა, რომ ეს სახელმწიფოები შეიქმნა და განვითარდა, რაც სრული აბსურდია. მოსკოვის მიზანია, მაქსიმალურად შეიზღუდოს პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების პროგრესი. ამ მიზანს რუსეთმა, გარკვეულწილად, მიაღწია: ოკუპირებულია აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი, დნესტრისპირეთი და ყირიმი, ახლა კი მიმდინარეობს ფართომასშტაბიანი ომი უკრაინის წინააღმდეგ, გაჭიანურდა საქართველოს ნატოში გაწევრიანება.

დასავლეთი 24 თებერვლის შემდეგ გააქტიურდა და რუსეთის წინააღმდეგ ერთიანი პოზიცია დაიკავა, ანუ ეხმარება უკრაინას რუსეთთან ომში. ფაქტობრივად, უკრაინაში რუსეთი და დასავლეთი ომობს, რაც, საბოლოოდ, დასავლეთის გამარჯვებით დასრულდება“, - აცხადებს პოლიტოლოგი გელა ირემაძე. ანალოგიური შეხედულებისაა ანალიტიკოსი გიგა ფარტენაძე: „დღეს პუტინი არის უცხო ტერიტორიაზე შეჭრის და კონფლიქტის გამღვივებელი, ყველა იმ ბოროტებისა და ანტიჰუმანური ქმედებების ინიციატორი, რაც ხდება უკრაინის ტერიტორიაზე... პუტინის რუსეთი არის აგრესორი და სხვა ქვეყნის სუვერენიტეტის დამრღვევი. ამ ყველაფერს იურიდიულად გაფორმება ესაჭიროება, რასაც, დარწმუნებული ვარ, ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში აუცილებლად მოვისმენთ“.

რუსეთ-აშშ-ის პაექრობის ძირითადი არეალი რომ პოსტსაბჭოთა სივრცეა, არახალია. ამ სახელმწიფოებს შორის „ხელების გადაგრეხვის“ პროცესი მიდის, მნიშვნელოვანია, ვინ გაიმარჯვებს. ეს დაპირისპირება უკრაინაში რომ არ მომხდარიყო, სხვაგან მაინც მოხდებოდა... რუსეთისთვის უკრაინა ის საშუალება უნდა ყოფილიყო, რომლითაც გავლენის სფეროებს განავრცობდა ჯერ უკრაინაში და შემდეგ მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში, ანუ ეცდებოდა აღედგინა საბჭოთა კავშირი. ამ უკანასკნელის დაშლის შემდეგ მას აიგნორებდნენ და განვითარებადი ქვეყნების სიაში გადაისროლეს, ამიტომ მოსკოვმა გადაწყვიტა, თავისი ძალებით დაბრუნებულიყო მსოფლიო პოლიტიკაში. ამისთვის არმიას იყენებს. უკრაინა ახლა ამის თვალსაჩინო მაგალითია! ბევრი ალბათ ფიქრობს, რატომ არ ერევა დასავლეთი რუსეთ-უკრაინის ომში იმ დოზით, რომ დააჩქაროს რუსეთის მარცხი? დასავლეთი აშკარად ვერ ჩაერევა ამ ომში, ამან შეიძლება მესამე მსოფლიო ომი გამოიწვიოს. დასავლეთი ცდილობს, შეაგუოს რუსეთი მარცხს, ნელ-ნელა გამოფიტოს ამ ომში. „აშშ არ ზრუნავს იმისთვის, რომ უკრაინამ გაიმარჯვოს, არამედ იღვწის, რომ უკრაინა არ დამარცხდეს, - აღნიშნავს ექსპერტი ანდრეი ილარიონოვი. მსგავს განცხადებებს სხვა ექსპერტებიც ახმოვანებენ.

ცნობილია, რომ პოლიტიკა დიდი ვაჭრობის სფეროა, ცხადია, უკრაინის თაობაზეც მიდის გარიგებები. ამ მხრივ ანალიტიკოსები ორ შედეგს ვარაუდობენ. აშშ და რუსეთი ამ რეგიონში თუ არა, ნეიტრალურ ტერიტორიაზე მაინც დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. ეს პირდაპირ მოხდება თუ ირიბად, საკითხავი სწორედ ეს არის. სიტუაცია ჯერჯერობით ამ დონემდე არ მომწიფებულა. რეალურად, რუსეთი არც ესწრაფვის აშშ-სთან დაპირისპირებას, ძალები არათანაბარია რუსეთის საზიანოდ. აშშ-ს ორ საათში შეუძლია მთელი რუსული საზღვაო ფლოტის განადგურება, ხოლო რუსული ჯარის სიძლიერე რომ მითი იყო, თითქმის ერთწლიანმა ომმაც ცხადყო. იყო ასეთი კონსტანტა - სადაც რუსის ჯარი შედის, დიდხანს რჩება. ყველას ახსოვს ყაზახეთში განლაგებული სამშვიდობო ძალების გაძევება ამ ქვეყნიდან ორი წლის წინათ. ამბობენ, მოსკოვი პეკინის მოთხოვნას დაემორჩილაო, ყაზახეთი ამჟამად ჩინეთის მფარველობის ქვეშაა. როგორც ჩანს, აშშ-ს და ჩინეთს არ სურთ რუსეთის იმ დონემდე გაძლიერება, რომ მას შეუთანხმდეს, ან მოლაპარაკების მაგიდასთან დაისვას თანასწორუფლებიან პარტნიორად.

ხშირად კითხულობენ, რუსეთის მომავალი სამიზნე ვინ იქნება? დასავლელი ანალიტიკოსები აცხადებენ, რომ ყველაზე დაუცველნი ამ მხრივ ბელარუსი, საქართველო და სომხეთია. თუ რუსეთი შეძლებდა უკრაინის დამორჩილებას, მომდევნო სამიზნე სწორედ ზემოაღნიშნული ქვეყნები იქნებოდნენ. თავიდათავი ის არის, რომ რუსეთს საზღვარი აქვს ბელარუსთან, საქართველოსთან, უკრაინასა და ყაზახეთთან. უკრაინის დამორჩილების გარეშე კრემლი მოლდოვას ვერ დაიმორჩილებს, შუა აზიის დაპყრობა ყაზახეთის ოკუპაციის გარეშე შეუძლებელია. ყაზახეთს, როგორც ვთქვით, ჩინეთი მფარველობს (მას მოსკოვი ვერ დაუპირისპირდება), აზერბაიჯანს კი თურქეთი. ბელარუსი, ფაქტობრივად, ოკუპირებულია. რომ არა უკრაინელთა თავგანწირვა, საბჭოთა კავშირი მახინჯი ფორმით აღდგებოდა და წინააღმდეგობის გამწევი, პრაქტიკულად, არავინ იყო, მაგრამ როგორც ჩეჩნეთის ლეგენდარულმა პრეზიდენტმა დუდაევმა იწინასწარმეტყველა, უკრაინა გადაამტვრევს ხერხემალში რუსეთს. ასეც ხდება დასავლეთის ძალისხმევით.

> ***ანალიტიკოსები ორ შედეგს ვარაუდობენ. აშშ და რუსეთი ამ რეგიონში თუ არა, ნეიტრალურ ტერიტორიაზე მაინც დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. ეს პირდაპირ მოხდება თუ ირიბად, საკითხავი სწორედ ეს არის. სიტუაცია ჯერჯერობით ამ დონემდე არ მომწიფებულა. რეალურად, რუსეთი არც ესწრაფვის აშშ-სთან დაპირისპირებას, ძალები არათანაბარია რუსეთის საზიანოდ. აშშ-ს ორ საათში შეუძლია მთელი რუსული საზღვაო ფლოტის განადგურება, ხოლო რუსული ჯარის სიძლიერე რომ მითი იყო, თითქმის ერთწლიანმა ომმაც ცხადყო***

ზესახელმწიფოდ მიიჩნეოდა. თითქმის ერთწლიანმა ომმა მოსკოვის ავტორიტეტი შეარყია, თვით პოსტსაბჭოთა ქვეყნების ლიდერებიც კი პუტინს არაფრად აგდებენ და კრემლის პოლიტიკის კრიტიკასაც არ ერიდებიან. მაგალითად, ტაჯიკეთისა და სომხეთის ლიდერებმა რუსეთის მათდამი დამოკიდებულება დაგმეს, ფაშინიანმა რუსეთი ვალდებულებების შეუსრულებლობაში დაადანაშაულა, ხოლო ტაჯიკეთის ლიდერმა განაცხადა, რომ რუსეთმა პატივი უნდა სცეს სხვადასხვა ქვეყნის სუვერენიტეტს. ცხადია, ამგვარი განცხადებები რამდენიმე წლის წინ წარმოუდგენელი იყო. ყველაფერს აქვს თავისი დასაწყისი და დასასრული. ყველასთვის ცხადი გახდა, რომ რუსეთის ძლევამოსილება მითი იყო, კოლექტიურ დასავლეთთან დაპირისპირებაში რუსეთი მარცხდება. ახლა თითქმის ყველა დასავლელი ლიდერი აცნობიერებს, რომ ქართული მხარე მართალი იყო რუსეთთან აგვისტოს ომთან დაკავშირებით და ისიც გაცხადდა, რომ პუტინს ახალი იმპერიის აღდგენა სურს. ამის ნიშნები 2000-იან წლებში გამოჩნდა. 21-ე საუკუნეში მსოფლიო წესრიგი პირველად 2008 წელს, რუსეთ-საქართველოს ომის დროს დაირღვა. ამ გამოწვევას დასავლეთი სათანადოდ ვერ დახვდა, შეიძლება ითქვას, სრულიად მოუმზადებელიც. ყირიმის ანექსია სწორედ დასავლეთის არათანმიმდევრულობის თვალსაჩინო შედეგია, რითაც კრემლმა გვარიანად ისარგებლა.

თუ შევადარებთ ელცინისა და პუტინის რუსეთს, თვალსაჩინო სხვაობას დავინახავთ. რუსეთმა პუტინის დროს მოახერხა თავისი ძალების კონსოლიდაცია, უზარმაზარი ნავთობშემოსავლებით ისარგებლა და აგრესიული პოლიტიკა აწარმოა პოსტსაბჭოთა სივრცეში. არადა, ბევრს ეგონა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთი იმპერიულ ზრახვებს უკუაგდებდა და დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდებოდა. ცხადია, ეს პროგნოზი არ გამართლდა, ამას თავისი

ოფიციალური განცხადების წინმსწრებად...

გუშინ გამოცემა Bloomberg-ის ჟურნალისტმა ჯორდან ფაბიანმა ორ წყაროზე დაყრდნობით წინმსწრებად გაავრცელა ინფორმაცია, რომ აშშ უკრაინას 400 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების 31 Abrams-ის ტანკს გადასცემს.

როგორც გამოცემა აღნიშნავს, ოფიციალურად M1 Abrams-ის ტანკების გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების გამოცხადებას დღეს, თეთრ სახლში აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენის დაგეგმილი სიტყვით გამოსვლის დროს უნდა ველოდოთ.

შეგახსენებთ: ევროპული ქვეყნები, „სატანკო კოალიციის“ ფარგლებში, უკრაინისთვის 80 Leopard2-ის ტანკის გადაცემას აპირებენ.

ამირან გურიელიძე

უცხოეთი

პრეზიდენტმა პუტინმა დაამტკიცა, რომ მზად არის, გადაიხადოს მაღალი ფასი ამ უსამართლო ომისთვის. მას მობილიზებული ჰყავს 200 ათასზე მეტი ჯარისკაცი, - განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა უკრაინაზე საუბრისას. მისი თქმით, რუსეთი ყიდულობს ახალ იარაღს სხვა ავტორიტარული რეჟიმებისგან, როგორებიცაა ირანი და ჩრდილოეთ კორეა. „ჩვენ არ გვაქვს არანაირი მინიშნება ან სიგნალი იმისა, რომ პრეზიდენტმა პუტინმა შეცვალა თავისი მიზნები. მას სურს უკრაინაზე სრული კონტროლი და ახალ შეტევებს გეგმავს. ერთადერთი გზა გრძელვადიანი მშვიდობისკენ არის, პუტინს ნათლად ვაჩვენოთ, რომ რუსეთი ვერ გაიმარჯვებს ბრძოლის ველზე“, - აღნიშნა ნატოს თავკაცმა.

* * *

თურქეთმა შვედეთისა და ფინეთის ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებული სამმხრივი მოლაპარაკებების ახალი რაუნდი განუსაზღვრელი ვადით გადაიდო, - ინფორმაციას თურქული მედია ავრცელებს. შეხვედრა, რომელიც ბრიუსელში უნდა გამართულიყო, ანკარის თხოვნით გადაიდო. თურქეთის ამ გადაწყვეტილებას წინ უძღოდა პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანის განცხადება, რომ შვედეთი ნატოში გაწევრიანების საკითხზე თურქეთის მხარდაჭერას არ უნდა ელოდოს. შვედეთ-თურქეთის ურთიერთობა მას შემდეგ დაიძაბა, რაც სტოკჰოლმში გამართული ანტითურქული საპროტესტო აქციის დროს თურქეთის საელჩოს წინ ყურანი დაწვეს.

* * *

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევს მოუწოდა, დაუყოვნებლივ აღადგინოს სავაჭრო მოძრაობა ლაჩინის დერეფანში. „პრეზიდენტ ალიევს მოვუწოდე, დაუყოვნებლივ აღადგინოს სავაჭრო მოძრაობა ლაჩინის დერეფანში. დაბლოკვის ყოველი დღე ჰუმანიტარული კრიზისის რისკს ზრდის და ძირს უთხრის იმ ნაბიჯებს, რომელიც სომხეთმა და აზერბაიჯანმა მშვიდობისკენ გადადგეს. აშშ მზად არის, მხარი დაუჭიროს ამ ძალისხმევას“, - აღნიშნა სახელმწიფო მდივანმა. აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ბლინკენთან სატელეფონო საუბარში განაცხადა, რომ ლაჩინ-ხანქენდის გზა ბლოკირებული არ არის და ამ გზაზე 12 დეკემბრის შემდეგ რუსი სამშვიდობოებისა და „წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის“ 980-მდე ავტომობილმა გაიარა.

* * *

„ლეოპარდის" ტანკების უკრაინისთვის მიწოდება რუსულ-გერმანულ ურთიერთობებს არ წაადგება და მათ მომავალ განვითარებაზე აუცილებლად იმოქმედებს, - განაცხადა კრემლის პრესსპიკერმა დიმიტრი პესკოვმა. „ასეთი გადაზიდვები არ არის კარგი მომავალი ურთიერთობებისთვის. ისინი, უდავოდ, დატოვებენ გარდაუვალ კვალს ამ ურთიერთობების მომავალზე“, - თქვა მან, რითაც უპასუხა შეკითხვას, როგორ განვითარდება რუსეთ-გერმანიის ურთიერთობები, თუ ბერლინმა „ლეოპარდის“ ტანკების კიევში გაგზავნა დაამტკიცა. პესკოვმა აღნიშნა, რომ რუსეთ-გერმანიის ურთიერთობები ისედაც საკმაოდ დაბალ დონეზეა.

მოამზადა
ია შველიძემ

„ენმ“-ის თავმჯდომარის არჩევნებამდე სამი დღე რჩება

ზიძრია დავლაძე 579 25 25 72

„ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“ შიდა პარტიული არჩევნები რამდენიმე დღეში დაიწყება, ლევან ხაბეიშვილისა და ნიკა მელიას მომხრეებს შორის დაპირისპირება კი ისევ აქტიურ ფაზაშია. ერთმანეთთან წარსული შეცდომების გახსენებითა და ურთიერთბრალდებებით დაკავებული „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკოსები პარტიულ არჩევნებზე დიდ იმედებს ამყარებენ და ფიქრობენ, რომ ამ ცვლილებით პარტია დასუსტების ნაცვლად გაძლიერდება და ისევ მთავარ ოპოზიციურ ძალად დარჩება

ოპონენტები ერთმანეთის საწინააღმდეგოდ არაერთ ფაქტს ასაჯაროებენ. მათ შორისაა, რამდენიმე დღის წინ, მელიას მხარდამჭერი პოლიტსაბჭოს თავმჯდომარე, კობა ნაყოფიასა და დავით კეზერაშვილის საზღვარგარეთ საიდუმლო შეხვედრა. თუ რა იყო უკრაინაში მათი შეხვედრის მიზანი და რაზე ისაუბრეს, ამ ეტაპზე უცნობია. დეტალების გარკვევას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მას შემდეგ აპირებს, რაც კობა ნაყოფია თბილისში დაბრუნდება. საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ ნიკა მელიას ნაყოფია განუდგა და თავის გადარჩენას ცდილობს. ფარული შეხვედრის შესახებ ინფორმაცია ლევან ხაბეიშვილმა გაავრცელა. სწორედ ის ითხოვს ნიკა მელიასგან პასუხს, თუ რა მიზანს ემსახურებოდა ეს შეხვედრა. დავაა პარტიაში წარსულში კეზერაშვილის მიერ ნაჩუქარი მანქანის გამოც, რომელიც მან ორი წლის წინ ნიკა მელიას გაუგზავნა. პარტიის მოქმედ თავმჯდომარეს ხაბეიშვილის მხარდამჭერებმა სწორედ ეს საჩუქარი წამოაძახეს, თუმცა მოგვიანებით როგორც გაირკვა, „ტოიოტას“ მარკის ჯიპი პარტიის ავტოსადგომზე დგას და ის ნიკა მელიას სახელზე არ ფიქსირდება. ამ ურთიერთბრალდებების პარალელურად, 24 იანვარს „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე ნიკა მელიამ მისი გამარჯვების შემთხვევაში პარტიის გენერალურ მდივნად ბათუმის ორგანიზაციის თავმჯდომარე ***გიორგი კირთაძე*** *დაასახელა.*

- მიმაჩნია, რომ ტრადიცია და ნოვატორობა, გამოცდილება და ახალი ენერგია არის გამარჯვებისკენ მიმავალი გზის აუცილებელი წინაპირობა. სწორედ ამიტომ, ჩვენ შევინარჩუნებთ ერთგულებას განვლილი გზისა და გამოცდილების მიმართ და ამავე დროს არასოდეს დავუხურავთ გზას ახალ იდეებსა და ახალ ადამიანებს. პოლიტიკოსი, რომელიც ჩემ გვერდით დგას, არის ბათუმის ენმ-ის თავმჯდომარე გიორგი კირთაძე. კაცი, რომელმაც უკანასკნელ არჩევნებში ბათუმში გამარჯვება მოაპოვებინა პარტიას. გიორგი კირთაძემ „ნაციონალური მოძრაობის“ ათასობით მხარდამჭერთან ერთად გაიმარჯვა და დაამტკიცა, რომ პატრიოტიზმის, პოლიტიკური იდეალიზმის, მუხლჩაუხრელი შრომისა და პოლიტიკური პრაგმატიზმის წინაშე უძლურია ხელისუფლების მახინჯი და ბოროტი მანქანა, ფული და დაშინება, - განაცხადა 24 იანვარს გამართულ ბრიფინგზე მოქმედმა თავმჯდომარე ნიკა მელიამ.

„ბრუნდებოდნენ. ამიტომ მგონია, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ უნდა შეძლოს სტრუქტურულად სწორად გამართვა, თავის ამომრჩეველთან ეფექტური კომუნიკაციის დამყარება. რაც შეეხება კობა ნაყოფიასა და დავით კეზერაშვილის შეხვედრას, ამასთან დაკავშირებით იმაზე მეტი ინფორმაცია არ მაქვს, რაც გავრცელდა. მესმის, რომ არჩევნებია, პოლიტიკური ტემპერატურაც მაღალია, ტალახის სროლაც ხდება ხოლმე, რაც ვიხილეთ ამ წინასაარჩევნოდ, მაგრამ ეს ყველაფერი უნდა დასრულდეს და წარსულს ჩაბარდეს, ჩვენ უნდა შევძლოთ ერთობა როგორც პარტიაში, ასევე საზოგადოებაშიც, - გაგრძელდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ბათუმის ორგანიზაციის თავმჯდომარე ***ბიორბი კირთაძემ.***

„მესმის, რომ არჩევნებია, პოლიტიკური ტემპერატურაც მაღალია, ტალახის სროლაც ხდება ხოლმე, რაც ვიხილეთ ამ წინასაარჩევნოდ, მაგრამ ეს ყველაფერი უნდა დასრულდეს და წარსულს ჩაბარდეს, ჩვენ უნდა შევძლოთ ერთობა როგორც პარტიაში, ასევე საზოგადოებაშიც

მიუხედავად იმისა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტიური წევრი **ბონდო თეიდორაძე** ლევან ხაბეიშვილის მხარდამჭერთა სიაში ირიცხება, ნიკა მელიას გუნდში მყოფ „ნაცმოძრაობის“ ზოგიერთ წევრზე დადებითად საუბრობს და მათთან მეგობრულ დამოკიდებულებასაც ინარჩუნებს. იგი ეწინააღმდეგება პარტიაში არსებულ დაპირისპირებას და მხარეებს მშვიდობიანი მოლაპარაკებისკენ მოუწოდებს.

- მას შემდეგ, რაც საარჩევნო პროცესში ნიკა მელიას გუნდმა გადაწყვიტა, საკუთარი თანამებრძოლები და ამ პარტიის დამფუძნებლები, რომელთაც ქვეყნის განვითარებასა და მშენებლობაში დიდი წვლილი მიუძღვით, გააშავოს ცუდი რიტორიკით, ფაქტია, რომ ბევრმა შეიცვალა პოლიტიკური განწყობა. ამ მიმართულებით არც კობა ნაყოფია იქნება გამონაკლისი. მე მის ნაცვლად ვერ ვისაუბრებ, ნაყოფიამ ჯერ დააფიქსირა თავისი მხარდაჭერა ნიკა მელიას მიმართ, შემდეგ კი შეხვდა დავით კეზერაშვილს. კობა ნაყოფია არის პარტიის პოლიტსაბჭოს თავმჯდომარე და უფრო მეტად ღია და მართალი უნდა იყოს საკუთარ ამომრჩეველთან. რაც შეეხება მელიას გუნდის წევრებს, ძალიან დიდ უმრავლესობას, ვინც მელიას პოზიციას იზიარებს, ნაცხადა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ბათუმის ორგანიზაციის თავმჯდომარე **ბიორბი კირთაძემ.**

„მას შემდეგ, რაც საარჩევნო პროცესში ნიკა მელიას გუნდმა გადაწყვიტა, საკუთარი თანამებრძოლები და ამ პარტიის დამფუძნებლები, რომელთაც ქვეყნის განვითარებასა და მშენებლობაში დიდი წვლილი მიუძღვით, გააშავოს ცუდი რიტორიკით, ფაქტია, რომ ბევრმა შეიცვალა პოლიტიკური განწყობა. ამ მიმართულებით არც კობა ნაყოფია იქნება გამონაკლისი

უდიდეს პატივს ვცემ, მაგრამ, სამწუხაროდ, აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებიც, ერთი-ერთში, ხელისუფლების რიტორიკის მატარებელნი არიან, ცდილობენ პარტიის ლიდერების გაშავებას. ამიტომ უნდა დაფიქრდნენ და მოზომილები იყვნენ, თავიანთი განცხადებებით ნუ დაემსგავსებიან „ქართულ ოცნებას“.

აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატ გია აბულაძისთვის კი მნიშვნელოვანია არჩევნები ჩატარდეს მაღალი სტანდარტებით, რაც მისი თქმით, პარტიის განვითარებას ხელს შეუწყობს. გია აბულაძემ ლევან ვარშალომიძის ღვაწლზეც ისაუბრა.

„არცერთი შტაბის წარმომადგენელი არ ვარ, ყველა კანდიდატისგან მინდა მოვისმინო იმ პრიორიტეტებზე, რასაც თავად წარმოადგენენ. ვარ ლევან ვარშალომიძის გუნდის წარმომადგენელი და მისი მმართველობის პერიოდში ძალიან ბევრი კარგი საქმე გაკეთდა, თუმცა პატივს ვცემ გიორგი კირთაძესაც და ნიკა მელიასაც ისევე, როგორც ყველა ჩემს თანაგუნდელს

- ნებისმიერი არჩევნები, რომლებიც გაიმართება, მათ შორის, შიდაპარტიულიც, ჩემთვის მნიშვნელოვანია. ეს არის პარტიის განვითარებისთვის, წინსვლისთვის. მთავარია, მაღალი სტანდარტებით ჩავატაროთ არჩევნები. ამას ვითხოვდით წლების განმავლობაშიც. მე არცერთი შტაბის წარმომადგენელი ვარ, ყველა კანდიდატისგან მინდა მოვისმინო იმ პრიორიტეტებზე, რასაც თავად წარმოადგენენ. ვარ ლევან ვარშალომიძის გუნდის წარმომადგენელი და მისი მმართველობის პერიოდში ძალიან ბევრი კარგი საქმე გაკეთდა, თუმცა პატივს ვცემ გიორგი კირთაძესაც და ნიკა მელიასაც, ისევე, როგორც ყველა ჩემს თანაგუნდელს, - გვითხრა **გია აბულაძემ.**

შეგახსენებთ, რომ ენმ-ის შიდაპარტიული არჩევნები 28 იანვარს დაიწყება და 30 იანვრამდე გაგრძელდება.

უკრაინა

რამდენიმეთვიანი სასტიკი ბრძოლის შემდეგ, უკრაინის თავდაცვის ძალებმა სოლედარი დატოვეს, - ამის შესახებ Agence France-resse-ს უკრაინის შეიარაღებული ძალების აღმოსავლეთ ჯგუფის წარმომადგენელმა სერგეი ჩერევატიმ განუცხადა. აღნიშნულია, რომ უკრაინელმა მებრძოლებმა თავდაცვის ახალ ზონებზე გადაინაცვლეს, თუმცა ეს როდის მოხდა, დაკონკრეტებული არ არის. როგორც ცნობილია, სოლედარის 97% ნანგრევებად არის ქცეული.

* * *

გერმანია უკრაინას Leopard2 ტიპის ტანკებს გადასცემს. ინფორმაციას ამის შესახებ გერმანული გამოცემა Spiegel-ი ავრცელებს. გამოცემის თანახმად, საუბარია უკრაინისთვის Leopard2A6 ტანკების მინიმუმ ერთი შენაერთის გადაცემაზე, რაც ნატოს სტანდარტებით, ტექნიკის 14 ერთეულს შეადგენს. ტანკები ბუნდესვერის მარაგებიდან იქნება მიწოდებული. გამოცემა წერს, რომ საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში, შესაძლოა, დამატებითი ტანკები იქნას გამზადებული გასაგზავნად იმ მარაგებიდან, რომლებიც გერმანულ მრეწველობას აქვს. Spiegel-ი აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილებას, აშკარაა, წინ უძღოდა მოკავშირეებთან მრავალდღიანი კონსულტაციები, განსაკუთრებით აშშ-სთან. გერმანიის კანცლერი ოლაფ შოლცი აღნიშნავდა, რომ უკრაინისთვის საბრძოლო ტანკების გადაცემას მხოლოდ სხვა ქვეყნებთან კოალიციაში განიხილავდა.

* * *

უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ ხელი მოაწერა კანონპროექტს, რომელიც ზრდის სამხედროების სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას საბრძოლო ბრძანებების შეუსრულებლობისთვის, ბრძოლის ველიდან ან სამხედრო ნაწილიდან გაქცევისთვის. მანამდე ამ კანონს მხარი დაუჭირა უკრაინის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა ვალერი ზალუჟნიმ, უფლებადამცველების, საზოგადოების ნაწილის კრიტიკის მიუხედავად და, ასევე, იმის მიუხედავად, რომ კანონპროექტზე ვეტოს დადების მოთხოვნით პრეზიდენტის ვებგვერდზე პეტიცია გამოაქვეყნეს. კანონპროექტს რადაში კენჭი 13 დეკემბერს უყარეს და ხელმოსაწერად პრეზიდენტს გადაეგზავნა. მას მხარს უჭერდა ყველა პოლიტიკური ძალა, „გოლოსის“ გარდა. კანონპროექტი ითვალისწინებს ცვლილებებს უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსის 69-ე და 75-ე მუხლებში, რაც შეეხება „ჯარისკაცებისთვის კანონით გათვალისწინებულზე მსუბუქი სასჯელის დაკისრების შესაძლებლობის გამორიცხვას და სასჯელის პირობითი მოხდისაგან გათავისუფლებას“. ასევე, იზრდება სანქციების დონე სამხედრო ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის.

* * *

ნორვეგიის მთავრობა განიხილავს, გაუგზავნოს თუ არა უკრაინას მის საკუთრებაში არსებული გერმანული წარმოების Leopard2-ის რამდენიმე ტანკი. ამის შესახებ ნორვეგიული გაზეთები Aftenposten-ი და agens Naeringsliv-ი იუწყებიან. ადგილობრივი მედიის ცნობით, რუსეთის მოსაზღვრე ნორვეგია ნატოს წევრი სახელმწიფოა, რომელსაც Leopard2-ის 36 ტანკი აქვს და უკრაინას შესაძლოა, ოთხი ან რვა აღნიშნული სახეობის საბრძოლო ტანკი გადასცეს. მედია საკუთარ ანონიმურ წყაროებზე დაყრდნობით იტყობინება, რომ აღნიშნული შეიარაღების გაგზავნაზე გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღიათ.

* * *

ოფიციალური მადრიდი შეუერთდება Leopard2-ის ტანკების კიევისთვის მიწოდებას მას შემდეგ, რაც გერმანია, რამდენიმეთვიანი წინააღმდეგობის შემდეგ, უკრაინის არმიისთვის გერმანული წარმოების საბრძოლო ტანკების მიწოდებას დათანხმდება. ამის შესახებ ინფორმაციას ესპანური გამოცემა El Pais-ი აქვეყნებს. შეგახსენებთ, რომ პოლონეთმა მზადყოფნა გამოთქვა, უკრაინას Leopard2-ის 14-მდე ტანკი გაუგზავნოს. ამასთან, ნორვეგია განიხილავს გაუგზავნოს თუ არა მის საკუთრებაში არსებული რამდენიმე „ლეოპარდის“ ტანკი უკრაინას. გარდა ამისა, ფინეთმა განაცხადა, რომ მცირე რაოდენობის Leopard2-ის ტანკებს უკრაინას გადასცემს, თუ ევროპული ქვეყნების უფრო ფართო ჯგუფიც ამის გაკეთებას გადაწყვეტს.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

„20 ათასზე მეტი დადგენილება, გადაწყვეტილება, განაჩენი და განჩინება მაქვს გამოტანილი საქართველოს სახელით“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

თემურ ქათამაძემ 70 წელს გადააბიჯა. ის ერთადერთია ქვეყანაში, რომელმაც მეორე ვადით არჩეული მოსამართლის მანტია მოიხსნა და პენსიაზე გავიდა. სხვადასხვა დროს იგი გახლდათ სოფლის სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ხულოს რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ხულოს რაიონის მესამე პირველი პირი, აჭარის საავტომობილო პოლიციის უფროსი, აჭარის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე. დღეს იგი ჩვენი სტუმარია.

- ბატონო თემურ, იმ დროს ჩაირიცხეთ ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში, როცა ერთ ადგილზე 50-მდე აბიტურიენტი ცდიდა ბედს. ვის უმადლით ასეთ წარმატებას?

- ეს იყო 1969 წელს. დამოუკიდებლად ვემზადებოდი გამოცდებისათვის ხულოს რაიონის სოფელ ქედლებში. არანაირი რეპეტიტორი და საქმის ჩამწყობი არ მყოლია. იმხანად პირველად ისტორიაში წერითი გამოცდები ჩატარდა. იმდენ აბიტურიენტში ოთხი „კარგი“ დაიწერა. მათ შორის ერთი მე მივიღე და ამან გადაწყვიტა ჩემი ინსტიტუტში ჩარიცხვის ბედი.

- პედაგოგის საქმიანობას წესრიგის დამცველთა რიგებში ჩადგომა ანაცვალეთ?

- ხულოს რაიონის აგარისა და ოქრუაშვილების საშუალო სკოლების ქართული ენა-ლიტერატურისა და ისტორიის მასწავლებლად ვმუშაობდი. აჭარის საოლქო კომიტეტიდან შეამოწმეს ჩემი პედაგოგიური, ასევე სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა და განაზოგადეს. ჯერ საზოგადოება „ცოდნის“ ხულოს რაიონული ორგანიზაციის პასუხისმგებელ მდივნად, ხოლო შემდეგ პარტიის ხულოს რაიკომის ინსტრუქტორად დამაწინაურეს, მერე - განყოფილების გამგედ. იმ დროს რაიონული კომიტეტის ბიურო რეკომენდაციას აძლევდა ახალგაზრდა მუშაკებს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამუშაოდ. ხულოს რაიკომის პირველმა მდივანმა თამაზ ტუნაძემ მომცა რეკომენდაცია, რომ მუშაობა ხულოს შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში გამეგრძელებინა. ხულოს პოლიციის მაშინდელი უფროსი ლევან შავაძე სამუშაოდ თბილისში გადავიდა და მისი თანამდებობა ვაკანტური იყო. მალე ამ თანამდებობაზე დამნიშნეს. ბავშვობიდან დეტექტიური ჟანრის ლიტერატურა მიტაცებდა, სწავლის გაგრძელება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე მინდოდა.

- იმ დროს ქვეყნის მასშტაბით ყველაზე დიდი კონკურსი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე იყო. მისაღები გამოცდები იქაც ჩაბარეთ?

- როდესაც მუშაობა დავიწყე შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსად, განცხადება შევიტანე თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტზე. პარტიის რაიკომმა მომცა დახასიათება-რეკომენდაცია ამ ფაკულტეტზე ჩასარიცხად. უნივერსიტეტის რექტორატის გადაწყვეტილებით, შეიქმნა ცალკე კურსი - დაუსწრებლად, მეორე სპეციალობის მისაღებად. ჩვენთვის ჩაატარეს ცალკე მისაღები გამოცდები, შემდეგ - გასაუბრება და 70 აბიტურიენტი ჩავირიცხეთ, დაუსწრებლად დავამთავრე იურიდიული ფაკულტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით.

- ძალიან რთულ დროს დაინიშნეთ ხულოს რაიონის პრეფექტად. რამდენად ელოდით ასეთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დანიშვნას?

- ასეთ მაღალ თანამდებობაზე დანიშვნა მოულოდნელი იყო. მინდოდა, მუშაობა გამეგრძელებინა აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროში სპეციალობის მიხედვით. გამომიძახეს გასაუბრებაზე ბობოყვათის სამთავრობო რეზიდენციაში. ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ უნდა გამსაუბრებოდა ქვეყნის მაშინდელი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. მან გულთბილად მიმიღო. გასაუბრებას ასევე ესწრებოდა აჭარის უმაღლესი საბჭოს მაშინდელი თავმჯდომარე ასლან აბაშიძე. საუბარი დიდხანს გაგრძელდა. ასლან აბაშიძე არ ჩაგვრევია. პრეზიდენტი დაინტერესდა ჩემი წარსულით, სოფლის ცხოვრებით, გამომკითხა, რამდენად ვიცნობდი ხულოელთა ყოფა-ცხოვრებას, მათ პრობლემებს. კმაყოფილი დარჩა ჩემთან საუბრით და მომცა რეკომენდაცია პრეფექტად მუშაობაზე.

- საზოგადოებას კარგად ახსოვს მაშინდელი სიტუაცია ცენტრსა და რეგიონს შორის, ამ გადასახედიდან ვისი პოზიცია იყო გამართლებული?

> ***„ ძალიან განვიცდი და ხშირად ვფიქრობ რუსეთ-უკრაინის ომზე. მეშინია, ჩვენი ქვეყანაც არ ჩაითრიონ ამ ომში. ამის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ. ჩვენი მოსახლეობა მცირერიცხოვანია, ეკონომიკურად და სამხედრო თვალსაზრისით - სუსტი. ჩვენი ქვეყანა ვერ გაუძლებს ომს, ეს ქართველის გადაშენების ფასად დაგვიჯდება***

- პრეზიდენტის დადგენილებით, ხულოს რაიონის პრეფექტად დავინიშნე 1990 წლის აგვისტოს. ამ თანამდებობაზე შევცვალე რეზო ქონიაძე, რომელიც გადაიყვანეს აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ. ქვეყანა სამოქალაქო ომის პირას იყო. არ გვქონდა საკმარისი რაოდენობით ფქვილი, საწვავი. პრეზიდენტს დაუპირისპირდნენ მისი ყოფილი თანაგუნდელები, რომლებიც ცდილობდნენ სიტუაციის არევას, პრეზიდენტის ჩამოგდებას და ხელისუფლების სათავეში მოსვლას. ამ ზრახვებს პრეზიდენტი თბილისში და რეგიონებში ხალხის ერთ მუშტად შეკვრით და ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლით დაუპირისპირდა. პრეზიდენტის ბრძანებულებით, ცენტრსა და რეგიონებში შეიქმნა პარტიის „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“ პირველადი ორგანიზაციები, რომლებიც მას გვერდით ედგნენ. თბილისში უზენაესი საბჭოს წინ გაიშალა კარვები, ერთი ასეთი კარავი გაშლილი ჰქონდა ხულოს რაიონულ ორგანიზაციას, სადაც სადღეღამისო მორიგეობები სრულდებოდა. რაიონების, სოფლების მოსახლეობა მხარს არ უჭერდა ოპოზიციას და ხულოს ცენტრში არაერთი მიტინგი ჩაატარეს მათ წინააღმდეგ. აჭარის მინისტრთა საბჭოს მაშინდელ თავმჯდომარე გურამ ვარშალომიძესა და მე 1991 წლის გაზაფხულზე ორი შეხვედრა გვქონდა საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან, რომელმაც დეტალურად მოგვისმინა, მოგვცა დავალებები, ასევე, რაიონის მოსახლეობას გამოუყო 60 ტონა პურის ფქვილი. ამასთან, გვირჩია, რომ შევხვედროდით საქართველოს პატრიარქს, უნეტარესსა და უწმინდეს ილია მეორეს. პატრიარქთან შეხვედრა გვქონდა დილით. იგი საქმის კურსში იყო ცენტრსა და რეგიონს შორის შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით. დაწვრილებით მოგვისმინა, მოგვცა გარკვეული მითითებები. მადლობა გადავუხადეთ და გამოვემშვიდობეთ.

- რეგიონის საგზაო პოლიციის უფროსი იყავით, როცა არ შეეგუეთ განუკითხაობას ამ სფეროში და თანამდებობა დატოვეთ. ახლა ეს ქმედება რამდენად მართებულად მიგაჩნიათ?

- აჭარის სახელმწიფო ავტოინსპექციის უფროსად გადაყვანა, რა თქმა უნდა, ჩემი თანხმობით მოხდა, მაგრამ გადასვლის ძირითადი მიზანი იყო ის, რომ იმხანად აჭარის საგზაო პოლიციის საქმიანობაში დიდი სირთულეები გვქონდა, განსაკუთრებით ძირითად მაგისტრალზე თბილისი-სარფის მიმართულებით. იყო კორუფციისა და ერთი კატეგორიის მძღოლთა მხრიდან დაუმორჩილებლობის ფაქტები. ამ ადგილზე დიდხანს მუშაობა არ მინდოდა. ვაპირებდი აჭარის შინაგან საქმეთა ორგანოებში სამუშაოდ დაბრუნებას და შემდეგ საქმიანობის საგამოძიებო მიმართულებით გაგრძელებას. ფიქრისა და განსჯის შემდეგ გადავწყვიტე, დამეწერა განცხადება და სხვა სამუშაოზე გადავსულიყავი. ზოგიერთ ჩემს კოლეგასა და მეგობარს გაუკვირდა ჩემი ეს ნაბიჯი, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან მიმაჩნია, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე. შემდეგ ჩემი საქციელი იმითაც გამართლდა, რომ შესარჩევ კონკურსში, გამარჯვების შედეგად დამამტკიცეს აჭარის საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარედ, სადაც 1998 წლის თებერვლამდე, ანუ საქართველოში საარბიტრაჟო სასამართლოს გაუქმებამდე ვიმუშავე.

- აჭარის მთიანეთის მკვიდრთაგან აჭარის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობა პირველს გერგოთ. ამ თანამდებობამ რა კვალი დატოვა თქვენს სამსახურებრივ და პირად ცხოვრებაზე?

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარედ ჩემი მუშაობისას, საქართველოს პრეზიდენტის დადგენილებით, გაუქმდა საარბიტრაჟო სასამართლოები და შეუერთდა საერთო სასამართლოებს. დავრჩი უმუშევარი. ამ დროს გამოქვეყნდა საქართველოს პრეზიდენტის დადგენილება საქართველოში სასამართლო სისტემის რეფორმის შესახებ. პირველი ეტაპის დაწყებას ვარაუდობდნენ 1999 წლის 15 მაისიდან. ეს დადგენილება მოსამართლეთაგან მოითხოვდა საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარებას მთელ სასამართლო სისტემაში. მახსოვს, აჭარაში გამოცდას ვაბარებდით 65-ზე მეტი მოსამართლეობის კანდიდატი, ხოლო წარმატებით 13-მა ჩავაბარეთ. 1998 წლის მაისში აჭარის უმაღლესი სასამართლოს სესიაზე ამირჩიეს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ. 1999 წლის გაზაფხულზე გამოცხადდა კონკურსი აჭარის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეობაზე. მონაწილეობა მივიღე და დავინიშნე აჭარის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლედ. 1999 წლის მაისიდან 2005 წლის დეკემბრამდე ვიყავი ამავე სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა განხილვის პალატის თავმჯდომარე. მოგვიანებით, 2003 წლის ივლისიდან 2005 წლის დეკემბრის ჩათვლით, ვიდრე გაუქმდებოდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო და შეუერთდებოდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ბრძანებით, ვასრულებდი აჭარის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობას, ანუ ვიყავი ამ სასამართლოს ბოლო და უკანასკნელი თავმჯდომარე. აჭარის უმაღლესი სასამართლოს გაუქმების შემდეგ ჩემთვის გამოწვევა იყო მარტვილის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ სამი წლის განმავლობაში მუშაობა. შემდეგ საქართველოს იუსტიციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2008 წლის 1 აგვისტოდან 2009 წლის 1 ოქტომბრამდე, ვმუშაობდი ბათუმის საქალაქო სასამართლოში. ამ დროს შემისრულდა 10-წლიანი უფლებამოსილების ვადა, გავთავისუფლდი თანამდებობიდან და მუშაობა დავიწყე ადვოკატად. 2014 წლის მაისში მონაწილეობა მივიღე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში, გავიმარჯვე და დავინიშნე ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ და ქედის, შუახევის და ხულოს რაიონების მაგისტრანტ მოსამართლედ, სადაც ვიმუშავე 2016 წლის 15 ნოემბრამდე, ანუ პენსიაზე გასვლამდე.

- ჯანმრთელობას არ უჩივით. რატომ აღარ გააგრძელეთ მოსამართლედ მუშაობა?

- მოსამართლედ მუშაობის პერიოდში, მართლაც, დიდი გამოცდილება დამიგროვდა და პროფესიონალიზმიც ამიმაღლდა. 20 ათასზე მეტი დადგენილება, გადაწყვეტილება, განჩინება და განაჩენი მექნება გამოტანილი საქართველოს რესპუბლიკის სახელით, რაც საამაყო და სასიხარულოა, მაგრამ 65 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ, კანონმდებლობის მიხედვით, არცერთ მოსამართლეს არ აქვს უფლება, გააგრძელოს სასამართლო საქმიანობა. ამას ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუცია და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონი. მე მოსამართლეობის შეწყვეტის დროს მქონდა შესანიშნავი შრომისუნარიანობა. კარგი მეხსიერება, ჯანმრთელობა, მაგრამ კანონის მოთხოვნის გამო ვერ გავაგრძელე სამოსამართლეო საქმიანობა, ამიტომ ამჟამად საადვოკატო საქმიანობას ვეწევი. გულისტკივილით მინდა აღვნიშნო, რომ კონსტიტუციის აღნიშნული მუხლი საჭიროებს გადახედვას და რაც შეიძლება - სწრაფად, ასევე საჭიროებს გადახედვას ყოფილი მოსამართლეების საპენსიო და საკომპენსაციო თანხების მიღების წესი. ამ მხრივ შესაცვლელია კანონი და ეს საქმე უნდა მოაგვარონ, ვისაც ეს ეხება.

- ქვეყნის პირველი პრეზიდენტიდან მოყოლებული, ბევრ გამოჩენილ ადამიანთან სამსახურებრივი საქმიანობა გაკავშირებდათ. მათთან ურთიერთობის რა ეპიზოდებს გაიხსენებთ?

- პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან რამდენიმე შეხვედრა მქონდა. პრეფექტად მუშაობის დროს სოფელ ღორჯომში განვითარდა მეწყრული პროცესები. ადგილზე ჩამოფრინდა ქვეყნის მაშინდელი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე. მას აჭარის მთავრობის პირველი პირები დახვდნენ. პრეზიდენტმა დაათვალიერა ღორჯომის ჯამე. მოსახლეობას დახმარებას შეჰპირდა. ასევე, მნიშვნელოვანი ღონისძიებები დასახა ადგილზე და დაავალა აჭარის მთავრობას, რომ უმოკლეს ვადაში სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები გაეტარებინათ. აჭარის სახელმწიფო ავტოინსპექციის უფროსად მუშაობისას კარგი ურთიერთობები მქონდა საქართველოს სახელმწიფო ავტოინსპექციის იმდროინდელ უფროსთან, პოლიციის პოლკოვნიკ გივი ჩოხელთან. ის დაგვეხმარა სამსახურებრივი ავტომანქანებით, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის საჭირო ინვენტარით. შემდგომში საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ბრძანებულებით, აჭარის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად რომ დავინიშნე, პრეზიდენტს თბილისში, თათბირის ფორმატში შევხვდი სასამართლო რეფორმასთან დაკავშირებით. კომუნისტების პერიოდიდან მოყოლებული, ყველა პარტიისა და მთავრობის დროს ვმუშაობდი სხვადასხვა თანამდებობაზე. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში არ ვყოფილვარ არცერთი პარტიის წევრი.

- პენსიაზე გასვლის შემდეგ მეტწილ დროს ისევ ხულოში ატარებთ. რა ადგილი უჭირავს მშობლიურ გარემოს თქვენს ცხოვრებაში?

- ზაფხულსა და შემოდგომაზე, ძირითადად, მეუღლესა და შვილიშვილებთან ერთად სოფელ ქედლებში ვიმყოფები. იქ მამაპაპისეული სახლი გვაქვს, დიდი ნაკვეთი, ხეხილი, რომელსაც ვამუშავებთ, ვიღებთ მოსავალს. თავისუფალ დროს ვატარებთ სოფელში ბავშვობის მეგობრებთან და მეზობლებთან. მიყვარს ჩემი სოფელი, იქ ვისვენებ და შესანიშნავად ვგრძნობ თავს.

- შვილიშვილებითა და შვილთაშვილებით ბედნიერი ბრძანდებით...

- ოთხი შვილიშვილი მყავს, ოთხივე - ბიჭი. სამი მუშაობს, ერთი კი აბიტურიენტია. ყველასთან მეგობრული დამოკიდებულება მაქვს. მინდა, ბაბუის გაკვალული გზა გაგრძელონ და პატიოსანი შრომით შექმნან ყველაფერი. გამოადგნენ ხალხს და ქვეყანას. მთავარია შრომა როგორც სოფელში, ისე უმაღლეს სასწავლებელში.

- გამოცემული გაქვთ წიგნი ქათამაძეების გვარის შესახებ...

- მონაცემებს ქათამაძეების გვარის შესახებ სტუდენტობიდან ვაგროვებდი. წიგნში თავი მოვუყარე შეგროვილ მასალებს, ბაბუისა და ბებიის მონათხრობს. ეს მასალები გადავამუშავე და დავბეჭდე. დასაბეჭდად მომზადებას საკმაო დრო და ენერგია დასჭირდა, მაგრამ მეც და ჩემი მოგვარეები ამ ფაქტს სიხარულით და კმაყოფილებით შევხვდით. ჩაფიქრებული მაქვს, თუ შევძლებ, ასევე ცალკე წიგნად გამოვცე კურორტ ბეშუმისა და მისი მიმდებარე იაილების გამოსყიდვის საკითხები.

- ხულოელი ქათამაძეები საიდან მოდიხართ?

- ისტორიული წყაროებით, ქათამაძეები მესხეთიდან გადმოსულან აქ საცხოვრებლად. შემდეგ ცხოვრობდნენ ხინოში, იქიდან გადმოსახლებულან კოლხეთის დაბლობზე - გონიოს ციხის ერთ-ერთი დამცველი, ქართლის ცხოვრების ქრონიკების თანახმად, ქათამაძე ყოფილა. შემდეგ გადასულან საცხოვრებლად იმერეთში, ნაწილი კი აჭარის მთიანეთში დარჩა.

იხ. მე-7 გვ.

გაბაიძეთა გვარის უხუცესი

ხიხაძირელი თენგიზ (თოფან) გაბაიძე აჭარის მთიანეთიდან პირველი ხელოვანი იყო, რომელმაც ცეკვა «განდაგანა» საკუთარი ილეთებით გაამდიდრა, შემდეგ «ხორუმი» სხვებთან ერთად, 1934 წელს თბილისში პირველად შეასრულა. «ხიხაძირული ხორუმის» წამყვანი იყო აჭარის დამსახურებული არტისტი ენვერ გაბაიძე, აჭარის დამსახურებული მასწავლებლის წოდებას ატარებდა 1976-1983 წლებში, ხიხაძირის საშუალო სკოლის დირექტორი მეჯიდ გაბაიძე. საქვეყნოდ ცნობილია გინეკოლოგი თემურ გაბაიძე, კარგი სახელი დაიმკვიდრეს რაულ და დავით გაბაიძეებმა

სამშობლოს დამცველის ღირსეული სახელი დატოვა შერიფ ხიმშიაშვილის თანამებრძოლმა მუსტაფა-ჩაუშ გაბაიძემ, მედგარი, კომუნისტურ რეჟიმს ებრძოდა მისი შვილი ისმეილ გაბაიძე. იგი ბაკოელ ფოლად დუმბაძესთან ერთად დაუპატიმრეს და 1928 წელს დახვრიტეს. აქაურმა გაბაიძეებმა მეორე მსოფლიო ომსა და შემდგომ წლებში განვითარებულ მოვლენებში თავისი საპატიო კვალი დატოვეს. პოეტი ქალის გულიკო გაბაიძის სახელით ამაყობს გვარი.

სახელოვანი ოსტატი იყო მურთაზ გაბაიძე. როცა ხიხაძირის საშუალო სკოლის ხის შენობის მშენებლობა წამოიწყეს, მურთაზი ყადირ, მუხამედ, აბდი, ხასან გაბაიძეების, არიფ, ასლან სურმანიძეების ოსტატთა ბრიგადას სათავეში ედგა. მისი მონაწილეობით, მეორე მსოფლიო ომის წლებში ხიხაძირის ცენტრში 60-მეტრიანი ხის ხიდი გაკეთდა. თანასოფლელ თანატოლებთან ერთად, მშენებლობას აკვირდებოდა 10 წლის ნოშრევან გაბაიძე. მურთაზი ჯანმაგარ ბიჭს ხან წყლის მოსატანად აგზავნიდა, ხან კიდევ ახალშენის უბანში მუშახელის მოსაპატიჟებლად. ჭაბუკი სოფლის სამჭედლოშიც შრომობდა შეგირდად.

მეორე მსოფლიო ომი რომ დამთავრდა, ნოშრევანი 12 წლის ყმაწვილი იყო. მისი მშობლიური სოფელი ხიხაძირი, ისტორიული წარსულითა და დღევანდელობით აჭარის მთიანეთში ერთ-ერთი გამორჩეულია.

- ჩემი სოფელი ჟამთა სიავის მოწმე და მომსწრეა, - ამბობს ნოშრევანი - ისტორიული წყაროები მოწმობენ, რომ 1590 წლიდან აქ ოსმალოებმა დაიწყეს თარეში. მდინარე ხიხანისწყალი რამდენჯერმე წითლად შეღებილა. ქრისტიან ხიხანელებს ოსმალო ჯალათები თავს კვეთდნენ და მდინარეში ყრიდნენ, მოსახლეობა ადგილის დედას ტოვებდა. ტოპონიმები: ნარიზნევი, ხიზნარაღელე, ქოჩლუღი, ნადაბური ამის დასტურია. ნესტორ მალაზონიას ლექსის სტრიქონებსაც გადახედეთ:

«გადაფურცლეთ მატიანე,
ალბათ, ისეც იცით,
მტერი ჭამდა, ვერ ძღებოდა
ხიხაძირის მიწით.
ამ ქართველი ხალხის სისხლით,
ამ ქართული მიწით,
ჩვენ კი მარტო ლხინი არა,
ხმლის მოქნევაც ვიცით».

ჩვენი წინაპარი სოფელ წაბლანიდან (სხალთის ხეობა) ყოფილა. დღესაც შემონახულია გაბაიძეთა სამუდამო განსასვენებელი და გაბაიძეთა საუკუნოვანი კაკლის ხეები. პოეტ მამია ვარშანიძის პოემაში «ხიხანის არწივები» ჩვენი დიდი წინაპარი ქერიმ გაბაიძე ხიხანის ციხის თავად და სელიმ ხიმშიაშვილის ერთგულ თანამებრძოლად ჰყავს მოხსენიებული. მე ხიხაძირელი გაბაიძეების მეთერთმეტე თაობა ვარ. აქ მცხოვრებთაგან ყველაზე მეტი გაბაიძეები ვართ, - ამბობს ნოშრევანი.

70 წელზე მეტი გასულა იმ დღიდან, რაც ნოშრევანმა ცხოვრების ბედი თანასოფლელ გოგონას - გულნარას დაუკავშირა.

- ოჯახში ნუგზარის გაჩენას სიხარულით შევხვდით, მიყვება ნოშრევანი, - დღეს იგი პენსიონერია. ნუგზარის გარდა კიდევ სამი ქალიშვილის აკვანი დაირწა ჩვენს კერაზე. ახლა 13 შვილიშვილის და 19 შვილთაშვილის მომსწრე ვარ. 13 წლის წინ ერთგული თანამეცხედრე ხელიდან გამომეცალა. მამაკაცისთვის ცალუღელობა მძიმეა. ნუგზარის შვილები დარინა, ნანა, ლანა, ჟანა, რძალი თავს მევლებიან, სიხალისეს მმატებენ, სიცოცხლეს მიხანგრძლივებენ. მე მათთან ვცხოვრობ. ხიხაძირი ახალშენის (ძაღლამერეს) უბანი ჩემი ადგილის დედაა. რაც თავი მახსოვს, მეწყერმა სამჯერ შემოგვიტია. მრავალთა მსგავსად, სოფელს ოჯახით განვერიდე და ჯერ სუფსაში, ხოლო შემდეგ ბათუმში დავსახლდი.

ნოშრევანისა და ნუგზარის ამაგს ხიხანელები არ ივიწყებენ. ოჯახებში ახლაც ნახავთ ნოშრევანის სამჭედლოში მოპირულ ცულს, სახნისს, გამოჭედილ თოხსა და წალდს. ნუგზარი წლების განმავლობაში სოფლის სასაადილოს მზარეული იყო.

- ყველაზე დიდ დროს ცხენის ნალისა და ლურსმნის გამოჭედვას ვანდომებდი, - იგონებს ნოშრევანი, - წინა საუკუნის 50-იან წლებში სოფელში საავტომობილო გზა და მანქანა სანატრელი იყო. ზამლეთიდან ხიხაძირში ოჯახის საარსებო პროდუქტები, დგამ-ავეჯი ცხენით გადმოგვქონდა, ცხენით აგვქონდა ტვირთი მთა სარიჩაირში და იქ დამზადებული მეცხოველეობის პროდუქტების გადმოტანაც ასე ხდებოდა. ახლა სოფელ ხიხაძირში იშვიათობაა ოჯახი, რომელსაც საკუთრებაში ავტომანქანა არ რყავდეს. ნალი და ლურსმანი არც მაღაზიაში იყიდებოდა და ვერც ინტერნეტით (იცინის) შეიძენდი. მჭედლები ადგილზე ვამზადებდით. საჭირო ფოლადს ბათუმიდან ვეზიდებოდით, რა თქმა უნდა, რკინაც დეფიციტი იყო. მახსენდება გაზაფხულის დღეები, როცა 16-18 საათის განმავლობაში სამჭედლოში ვტრიალებდი. ცეცხლთან მუშაობა ჯანმრთელობაა. 70 წელი ისე მოვიტოვე, რომ წამლის გემო არ ვიცოდი. 80 წლის შემდეგ, დამჭირდა.

ნოშრევანი გულით განიცდის მოხუცებულობის ჟამს მშობლიურ ხიხაძირს რომ გამოემშვიდობა, იმასაც, რომ სოფელში მისი თანატოლები აღარ დარჩნენ. სიამოვნებით იხსენებს თედო, ასლან მიქელაძეების, სერგო ჯაიანის, მამია იშხნელიძის ენვერ ხალვაშის, ნიკოლოზ დუმბაძის და სხვათა გვერდით გატარებულ წლებს.

- რაც თავი მახსოვს სოფელი «შუამთობას» ზეიმობდა, მისი ორგანიზატორები და წამყვანები თოფუზ, ენვერ, ასლან გაბაიძეები, ენვერ ხალვაში იყვნენ. თოფუზ გაბაიძემ აღადგინა მივიწყებული ცეკვა «ოჰოი, ნანა», რომელიც შემდგომში დახვეწა ენვერ ხაბაძემ, «ოჰოი ნანას» პირველი შემსრულებლები ჩემი თანასოფლელები ახმედ, ენვერ, მემედ, ასლან, ხუსეინ, ვანო გაბაიძეები, თედო მიქელაძე, ენვერ და ლევან ხალვაშები იყვნენ. «შუამთობაზე», «ტბელობაზე» მეც მათთან ერთად მიცეკვია «ხორუმი» და «განდაგანა». სოფლისთვის და ჩემთვისაც სასიხარულო იყო «ტბელობის» წამოწყება. მაშინ 46 წლის გახლდით. ეთერ დეკანაძის ინიციატივა მთელმა ხეობამ აიტაცა. ხიხაძირში, თხილვანაში, კალოთაში, რაქვთაში, თუნდაც წაბლანაში სტიქიური პროცესების დაწყებისა და ადამიანების დაღუპვის შემდეგ «ტბელობამ» ადრინდელი ხალისი დაკარგა, აღარც «შუამთობა» იმართებოდა. ისეთი დატვირთვით, რაც ხიხანელებისთვის იყო დამახასიათებელი. სასიხარულოა, რომ ხეობის ღირსეული შვილების, მათ შორის ჩემი ახლობლის სერგო დუმბაძის, ბათუმელი თეიმურაზ კომახიძისა და სხვათა ინიციატივით, ბოლო წლებში ორ სახალხო დღესასწაულს «სელიმობა

ც» დაემატა. «შუამთობა», «ტბელობა», «სელიმობა» ღირსეული წარსულის წარმოჩენა, საგმირო, საერისკაცო საქმეების გაცოცხლებაა, - ამბობს ნოშრევანი.

90 წლის მოხუცს მეხსიერება არ ღალატობს. იგი სიამოვნებით იხსენებს იმ წლებს, როცა ხიხაძირს დიდი ხელოვანები, ეროვნული ფოლკლორის «მამამთავრები» არჩილ ჩხარტიშვილი, ილიკო სუხიშვილი, ანზორ ერქომაიშვილი, ენვერ ხაბაძე, ალექსანდრე ფარცხალაძე, მეცნიერი მკვლევარები ჯემალ ნოღაიდელი, ხარიტონ ახვლედიანი, ალექსანდრე მსხალაძე, შუშანა ფუტკარაძე სტუმრობდნენ. მისი სახელი შეტანილია «აჭარული საუნჯის» ერთ ტომში.

- შვილიშვილებთან, შვილთაშვილებთან საუბარი მიყვარს, ძველ დროს ვიხსენებ და ახალს ვადარებ, მიხარია, რომ ცხენი მანქანამ ჩაანაცვლა, მოძველებული ხის სახლები თანამედროვე სტანდარტების შესაფერისმა კოტეჯებმა ჩაანაცვლა, სოფელში მიმოსვლა გაადვილდა, ორმოებიანი და ტალახიანი გზა ასფალტიანმა შეცვალა. პარლამენტარ ანზორ ბოლქვაძის ინიციატივით, ასფალტ-ბეტონის საფარი დაიგო ზამლეთ-ხიხაძირის 30-კილომეტრიან მონაკვეთზე. იმასაც ამბობენ, რომ მოასფალტებული გზა ხიხანის ციხის ასასვლელამდე მივაო. სიცოცხლე არავის მოსჭარბებია, მინდა კიდევ ბევრს მოვესწრო, - გვითხრა მოხუცმა.

ნოშრევან გაბაიძის ასაკის ადამიანები სხალთა-ხიხანის ხეობას ცოტანი შემორჩნენ. იგი უტყუარი მომსწრეა იმ ეკონომიკური, კულტურული, სოციალური გარდაქმნებისა, რაც ხეობამ, მისმა სოფლებმა და თითოეულმა ოჯახმა გამოიარა. გაბაიძეთა გვარის უხუცესი მხოლოდ ერთ რამეზე წუხს:

- სოფელს ადრე მისი სამჭედლო, უსტაბაში, სიტყვასაკითხავი კაცი, მესაფლავეც კი ჰყავდა. ხიხაძირში ახლა ყველა სანთლით საძებარია. მიგრაციამ, სტიქიურმა მოვლენებმა ხიხაძირში მცხოვრები ოჯახების რაოდენობა გაანახევრა. ხიხაძირის საშუალო სკოლა ახლანდელ ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებში ამ სტატუსით მოქმედი საგანმანათლებლო კერა იყო. მის კედლებში თაობები აღიზარდნენ, ახლა მისი კონტინგენტი მინიმუმამდეა დასული. ნოშრევანი იმ დღესაც იხსენებს, როცა 1977 წლის 1 სექტემბერს სკოლის ახლანდელი შენობა ექსპლუატაციაში შევიდა, სოფელს საქართველოს განათლების მაშინდელი მინისტრი ოთარ ქინქლაძე სტუმრობდა. მოხუცს მშობლიური სოფლის ყოველი დღე ახსოვს და ბედნიერია, რომ ამ დღეების თანამოზიარეა.

«დაბრუნება «ოქროს ხანაში»

1964 წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დაწყებითი განათლებისა და მეთოდიკის ფაკულტეტის 30 კურსდამთავრებულს პროფესიული საქმიანობისკენ მომავალი გზა დაულოცეს. მათგან უმრავლესობა ერთხელ არჩეული პედაგოგიური საქმიანობის ერთგული დარჩა, აკაკი ზოიძემ და რეზო ნაკაშიძემ კი პედაგოგიურ მუშაობას მეცნიერულ სარბიელზე მოღვაწეობაც შეუხამეს. ორივენი პროფესორები და განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები არიან.

წლებია, ისინი ერთგულად ემსახურებიან არჩეულ საქმეს. ეს იმ შეკრებაზეც გამოიკვეთა, რომელიც სათაყვანებელ უმაღლეს სასწავლებელს მიეძღვნა. ამ შეხვედრაზე პროფესორ აკაკი ზოიძეს დაებადა იდეა, რომ მათი პლეადის განვლილი გზა ერთ წიგნად აეკინძა. იდეა საქმედ აქცია და სამზეოზე გამოვიდა - «დაბრუნება «ოქროს ხანაში».

«ყველა პროფესიას თავისი ხიბლი აქვს, მაგრამ მასწავლებლის საქმიანობა გამორჩეულია. ხალხური სიბრძნეც ხომ ამას ღაღადებს: «სამყაროს მზე ანათებს, ცხოვრებას - მასწავლებელი», - მიანიშნებს ავტორი წიგნის წინასიტყვაობაში.

წიგნი თამაზ აბაშიძის ნარკვევით იხსნება და ჯემალ ჯაფარიძის წერილით მთავრდება.



ავტორმა ყველა თანაკურსელს მის მიერ შეთხზული ერთსტროფიანი ექსპრომტები მიუძღვნა, რაც წიგნს მიმზიდველობას მატებს. აქვე წარმოდგენილია რამაზ სურმანიძის, მერი გორდელაძის, ნოდარ ბასილაძის, ნაზიბროლა მიქელაძის, ნარგიზ აფხაზავას, ნინო სურმანიძის შეფასებები აკაკი ზოიძის საქმიანობაზე. აღნიშნულია, რომ იგი 1983 წლიდან სათავეში უდგას საქართველოს იაკობ გოგებაშვილის პედაგოგთა კავშირის აჭარის რესპუბლიკურ ორგანიზაციას, არის 16 წიგნის, 40-ზე მეტი ნაშრომისა და 1000-მდე საგაზეთო წერილის, ნარკვევისა და სტატიის ავტორი.

წიგნს დართული აქვს საინტერესო ფოტომასალა.

ნანი ტარიელაძის საოჯახო სასტუმრო

სამთო-სათხილამურო კურორტი გომარდული ყველაზე მეტ ვიზიტიორს უხვთოვლიან ზამთარში იზიდავს. აქ არსებულ კოტეჯებს უკვე საოჯახო სასტუმროებიც ემატება.

გომარდულში ადგილობრივი და უცხოელი სტუმრები წელს პირველად მიიღო ნანი ტარიელაძის საოჯახო სასტუმრომ. ნანი შარშან ჩაერთო შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის პროგრამაში: «სოფლად მცხოვრები ქალების გაძლიერება». საკონკურსო შერჩევისას მისმა პროექტა მოწონება დაიმსახურა და 5000 ლარით დაფინანსდა.

ნანი და მისი ოჯახის წევრები თანხის მიზნობრივად განკარგვას შეუდგნენ. მათ საოჯახო სასტუმროსთვის საჭირო ნივთები, დგამ-ავეჯი შეიძინეს და საკუთარი საცხოვრებელი სახლის ერთი სართული საოჯახო სასტუმროს დაუთმეს.

შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, თვითმმართველობის სხვა ხელმძღვანელები საოჯახო სასტუმროს მუშაობით დაინტერესდნენ, შეხვდნენ, გაესაუბრნენ იმ ვიზიტიორებს, რომლებიც ნანი ტარიელაძისა და ლევან ჯაყელის კუთვნილ საოჯახო სასტუმროში იმყოფებოდნენ.

- როგორც კი სასტუმროს გაწყობას მოვრჩით და სოციალურ ქსელში ინფორმაცია განვათავსეთ, ტურისტებმა მოსვლა დაიწყეს. უკვე უცხოეთის ქვეყნებიდანაც მსურველებმა ადგილები წინასწარ დაჯავშნეს. ფასებიც მოკრძალებული გვაქვს. ოჯახში 5 შრომისუნარიანი წევრი ვართ. ყველანი დავსაქმდით. ადგილზე სამუშაო გავიჩინეთ, რითაც საოჯახო ბიუჯეტსაც ვავსებთ, - გვითხრა ნანი ტარიელაძემ.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

ირინა ბურკაძეს საიუბილეო თარიღები მიულოცეს

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

გუშინ გაზეთ „აჭარის“ („ადჟარიას“) რედაქციას აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენლები - მინისტრის მოადგილე ბადრი ნაკაშიძე და ამავე სამინისტროს საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი თამარ დავითაძე ეწვივნენ

ბატონმა ბადრიმ ჩვენი გაზეთის ღვაწლმოსილ ჟურნალისტ ირინა ბურკაძეს მნიშვნელოვანი თარიღები - დაბადებიდან 70 და გაზეთში მუშაობის 50 წლის იუბილე მიულოცა.

- ჩვენთვის დიდი პატივია გაზეთ „აჭარის“ რედაქციაში სტუმრობა, მაგრამ განსაკუთრებით სასიამოვნოა, როდესაც ეს ისეთ შემთხვევას ეხება, როგორიცაა გაზეთის ერთ-ერთ ძველ თანამშრომელ ირინა ბურკაძისთვის საიუბილეო თარიღების მილოცვა. ასეთი თანამშრომლები ყოველთვის ძალიან დიდი განძია რედაქციისთვის, რადგან მათ აქვთ შეუფასებელი გამოცდილება და ცოდნა, რომელიც გაზეთისთვისაც აუცილებელია და, ასევე, ახალგაზრდა თაობებსაც ზრდის. დრო იცვლება, მაგრამ ღირებულებები რჩება, მათ შორის ჟურნალისტებისთვის დამახასიათებელი გამორჩეული ღირებულებები, რაც ყველასთვის ძვირფასია. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ყველას მოგილოცოთ ახალი წელი, გქონოდეთ ბევრი და ერთგული მკითხველი, საინტერესო სტატიები, მშვიდობიანი და ნაყოფიერი წელი გქონოდეთ, - თქვა ბადრი ნაკაშიძემ, რომელმაც ირინა ბურკაძეს რედაქციაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრ მაია ხაჯიშვილის ხელმოწერით საპატიო სიგელი გადასცა.

ირინა ბურკაძემ გაზეთში მუშაობა 1973 წელს მაშინ დაიწყო, როცა რუსულ გაზეთს უგანათლებულესი რედაქტორი ვლადიმერ მარღანიძე რედაქტორობდა. თავიდან კორექტორი იყო, შემდეგ - კორესპონდენტი, უფროსი კორესპონდენტი. მოგვიანებით კულტურის განყოფილების გამგედ დაინიშნა. გაზეთში მისი დაწერილი მასალები ყოველთვის პროფესიონალიზმით გამოირჩეოდა და საინტერესოდ იკითხებოდა. ათეულობით მასალა აქვს დაბეჭდილი ჯერ „სოვეტსკაია ადჟარიაში“, შემდეგ „ადჟარიაში“. ერთი პერიოდი (ნუგზარ ჯაფარიძისა და ავთანდილ დიასამიძის რედაქტორობის დროს) რედაქტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლადაც მუშაობდა. მას დამთავრებული აქვს მოსკოვის პოლიგრაფიული ინსტიტუტის (ამჟამად - ბეჭდვის უნივერსიტეტი) სარედაქციო-საგამომცემლო ფაკულტეტი ჟურნალისტის სპეციალობით, მასობრივი საშუალებების რედაქტორის კვალიფიკაციით. ირინა ბურკაძე დღესაც აქტიურ, ნაყოფიერ მოღვაწეობას განაგრძობს.

შპს „გაზეთ აჭარისა და ადჟარიას“ თანამშრომლები ვულოცავთ მას ამ მნიშვნელოვან საიუბილეო თარიღებს. ჯანმრთელობას და დღეგრძელობას ვუსურვებთ.

მაია ხაჯიშვილმა ძენწმანის და პირველი მაისის საჯარო სკოლები მოინახულა

დარინა ბაბაიძე 514 22 22 80

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ძენწმანისა და სოფელ პირველი მაისის საჯარო სკოლებს ეწვია. მინისტრმა პირველი მაისის საჯარო სკოლის მასწავლებელ რემიზ თებიძეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის სიგელი და სამკერდე ნიშანი გადასცა. ადგილზე გაეცნო სასწავლო პროცესს, შეხვდა სკოლების დირექტორებს, ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და მასწავლებლებს, მოისმინა მათი საჭიროებები, ასევე გაესაუბრა მოსწავლეებს, რომელთაც გაუზიარეს თავიანთი ინტერესები და სურვილები.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ წელს იგეგმება სოფელ პირველი მაისის საჯარო სკოლის ეზოს, მთლიანი ფასადისა და ღობის რეაბილიტაცია.

სტომატოლოგიური კაბინეტების მონიტორინგი დაიწყო

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

სტომატოლოგიური კაბინეტების გეგმური მონიტორინგი დაიწყო. მუნიციპალური ინსპექციის სანიტარიული ზედამხედველობის განყოფილება, მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრის“ მეშვეობით, ინსტრუმენტების სტერილურობას ამოწმებს.

არასტერილური ინსტრუმენტების გამოყენება, ერთჯერადად, 100-ლარიან ჯარიმას ითვალისწინებს. მუნიციპალური ინსპექცია დაწესებულებებს, გეგმურად, წელიწადში 2-ჯერ ამოწმებს.

„20 ათასზე მეტი დადგენილება, გადაწყვეტილება, განაჩენი და განჩინება მაქვს გამოტანილი საქართველოს სახელით“

მე-5 გვერდიდან

- ქვეყნის მომავალზე მოდარდე პიროვნების სახელი გაქვთ. როგორ აფასებთ საქართველოს მთავრობის ახლანდელ პოზიციას რუსეთ-უკრაინის ომთან დაკავშირებით?

- ძალიან განვიცდი და ხშირად ვფიქრობ რუსეთ-უკრაინის ომზე. მეშინია, ჩვენი ქვეყანაც არ ჩაითრიონ ამ ომში. ამის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ. ჩვენი მოსახლეობა მცირერიცხოვანია, ეკონომიკურად და სამხედრო თვალსაზრისით - სუსტი, ვერ გაუძლებს ომს, ეს ქართველის გადაშენების ფასად დაგვიჯდება. ვინც იბრძვიან უკრაინის მხარეს, ეს მათი სურვილი და გადაწყვეტილებაა. ვამართლებ მათ საქციელს და მიმაჩნია, რომ ისინი გმირები არიან, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საქართველო უნდა ჩაება ომში. ვემხრობი ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკას იმ ნაწილში, რომ საჭიროა დავეხმაროთ უკრაინას მატერიალურად, სულიერად, მაგრამ არა - მეორე ფრონტის გახსნით.

- რა მესიჯს გაუგზავნით იმ ქართველებს, რომლებიც უკრაინაში არიან და აფხაზეთიდან შემოსვლითა და „კატოკის“ გადავლით იმუქრებიან?

- როგორც ვთქვი, მომწონს ის ფაქტი, რომ გმირულად იბრძვიან უკრაინაში, მაგრამ არ ვეთანხმები იმ ნაწილში, რომ შემდეგ აფხაზეთიდან შემოვიდნენ და „გადაუარონ“ ჩვენს ქვეყანას. შეიძლება ზოგიერთი მათგანი ნაწყენია ვინმეზე, მაგრამ მივანიშნებ, რომ უპირველესია ჩვენი ქვეყანა, საქართველო და ხალხი. ნუ დაადგებიან ამ გზას, ეს სასიკეთოს არაფერს მოგვიტანს!

მთავარი რედაქტორი მარინა მითაიშვილი
გამომშვები რედაქტორი ირმა შერვაშიძე
ლიტერატურული რედაქტორი ეთერ ხომერიკი
რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.
გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3
მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2[ა]
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 23/01/23, 22[22] სთ.
დირექტორი მამუკა ბერიძე

საოპერო მუსიკის საღამო, რომელიც დიდხანს გვემახსოვრება

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ბათუმის ხელოვნების ცენტრში საოპერო მუსიკის საღამო გაიმართა, რომელშიც ბათუმელ მომღერლებთან ერთად, უცხოელი მუსიკოსები მონაწილეობდნენ

საღამო მუსიკალური ცენტრის სიმფონიური ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელმა და მთავარმა დირიჟორმა დავით მუქერიამ გახსნა და დარბაზს ორკესტრის მიერ უკვე განხორციელებული და სამომავლოდ განსახორციელებელი პროექტები გააცნო. როგორც აღინიშნა, წელს ეს სიმფონიური ორკესტრის მესამე კონცერტი იყო. პირველი 7 იანვარს, ესტრადის ვარსკვლავებთან ერთად ჩაატარეს, 18 იანვარს კი ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის დიდ საკონცერტო დარბაზში რევაზ ლაღიძის სახელობის სამუსიკო სკოლის მოსწავლეებთან ერთობლივი კონცერტი გამართეს საგანმანათლებლო პროექტის ფარგლებში.

საოპერო ჟანრის კონცერტი თებერვალშიცაა დაგეგმილი, შემდეგ ერთი საღამო, ტრადიციულად, ფესტივალს „აღგომიდან ამაღლებამდე“ დაეთმობა, ყოველ თვეში კი ორკესტრი მსმენელის წინაშე ახალი პროგრამით წარსდგება...

ახლა რაც შეეხება საოპერო მუსიკის კონცერტს - მსმენელის წინაშე ქართველ მომღერლებთან ერთად, უცხოელი სტუმრები - საოპერო მომღერალი, საუკეთესო ტენორი, ლა-კორუნიის საოპერო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი აქილეს მაჩადო (ესპანეთი) და სკოპიეს ოპერისა და ბალეტის თეატრის მთავარი დირიჟორი ბისერა ჩადლოვსკა (ჩრდილოეთ მაკედონია) წარსდგნენ. სასიხარულოა, რომ საღამოში მონაწილეობდნენ ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის საოპერო დასის სოლისტები ოთარ (ბაჩო) ნაკაშიძე და სულხან ჯაიანი. შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ ეს მათი სოლო-კონცერტი იყო, რადგან ამდენი ნომრით აქ არასოდეს უმღერიათ. იმ საღამოს ყველაფერი საუცხოო იყო - ძალიან კარგად ჟღერდა ორკესტრი, შესანიშნავად იდირიჟორა ბისერა ჩადლოვსკამ, არაჩვეულებრივად იმღერა ესპანელმა ტენორმა.

საღამოზე შესრულდა ცნობილი საოპერო არიები და დუეტები მოცარტის, ბიზეს, ვერდის, პუჩინის, მასკანის, როსინის, ჯორდანოს, დონიცეტის ოპერებიდან.

კონცერტი დაიწყო ვერდის ოპერა „ნაბუქოს“ უვერტიურით, რომელიც ორკესტრმა შეასრულა.

ჩვენი მომღერლები, როგორც ბაჩო ნაკაშიძე, ისე სულხან ჯაიანი არაერთი წელია წარმატებით გამოდიან უცხოეთის სხვადასხვა საოპერო სცენაზე. თუმცა არც პანდემიის დროს გაჩერებულან - ატარებდნენ ონლაინ-კონცერტებს.

საერთაშორისო საოპერო კონკურსების დიპლომანტ ბაჩო ნაკაშიძისთვის გასული წელი საკმაოდ წარმატებული იყო, რომელიც დაიწყო ჯუზეპე ვერდის ოპერა „ნაბუქოს“ პრემიერით და დებიუტით. მან თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში მთავარი - ნაბუქოს პარტია შეასრულა. საქართველოს თეატრალური საზოგადოების შემოქმედებითმა კავშირმა ამ როლის საუკეთესო შესრულებისათვის დააჯილდოვა კიდეც. ამას გარდა, კლასიკური მუსიკის არაერთ კონცერტში მონაწილეობდა, მათ შორის ბათუმში, უკრაინელების დასახმარებლად გამართულ საქველმოქმედო გალა-კონცერტში. ასევე, მაკედონიის ნაციონალურ ოპერისა და ბალეტის თეატრში, ძალიან ცნობილ საოპერო ფესტივალ „მაისის ღამეების“ ეგიდით გამართულ საოპერო სპექტაკლში „აიდა“ ამონასროს პარტია შეასრულა და ესეც დებიუტი გახლდათ. სწორედ ამ სპექტაკლით დაიხურა ეს შესანიშნავი ფესტივალი, რომელიც წელს 50-ედ ჩატარდა. ბაჩო ნაკაშიძემ გახსნა საოპერო ფესტივალი „ოქროს ხმები“, რომელიც ბათუმში პირველად ჩატარდა. მან კიდევ არაერთ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა. ამაღელვებელი იყო კონცერტი „ქართული საღამო“ იტალიის ქალაქ ბარიში და მილანში, სადაც დაუვიწყარი და ძალიან ემოციური შეხვედრა ჰქონდა ქართველ ემიგრანტებთან. იმღერა ჯაკომო პუჩინის ოპერა „ტოსკაში“ ბარონ სკარპიას პარტია. იტალიაში „რივა დელ გარდას“ ძალიან ცნობილ მუსიკალურ ფესტივალში მიიღო მონაწილეობა. წელს მან რუჯერო ლეონკავალოს ოპერაში „ჯამბაზები“, რომლის პრემიერა ტარანტოს საოპერო ფესტივალზე შედგა, ტონიოს როლი შეასრულა, პიეტრო მასკანის ოპერა „სოფლის ღირსებაში“ კი ალფიოს პარტია ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრში იმღერა. მონაწილეობდა პოლონეთის ქალაქ ვროცლავში ქართველი მხატვრების გამოფენასა და ვოკალურ კონცერტში. იმღერა გაეტანო დონიცეტის ოპერა „დონ პასკუალეში“ (მალატესტა) ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში. გამართა ვოკალური მუსიკის შესანიშნავი კონცერტი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში. ის მთელი წლის განმავლობაში წარმატებით გამოდიოდა ბათუმის, თბილისისა და ქუთაისის საოპერო მუსიკის სხვადასხვა დონის კონცერტებზე.

საკმაოდ ნაყოფიერი იყო გასული წელი საერთაშორისო საოპერო კონკურსების დიპლომანტ სულხან ჯაიანისთვის. შარშან, აპრილში მიწვეული იყო საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში შოპენის სახელობის კონსერვატორიაში, სადაც გაიმართა საქველმოქმედო კონცერტი - „სოლიდარობა უკრაინას“. მაისში იტალიაში, სიცილიის ქალაქ ბარჩელონაში, პოცო დი გოტოს საოპერო თეატრში ჯუზეპე ვერდის ოპერა „აიდაში“ ერთ-ერთი მთავარი პარტია (რამფისის) შეასრულა. ეს სპექტაკლი ფრანკო ძეფირელის დადგმის მიხედვით განხორციელდა. საფრანგეთში რამდენჯერმე გამოვიდა სხვადასხვა ფესტივალზე ცნობილ მუსიკოსებთან და შემსრულებლებთან ერთად. 7 ნოემბერს პარიზის ფილარმონიაში ჩატარდა შოსტაკოვიჩის მუსიკის სამდღიანი ფესტივალი. სხვადასხვა ნაწარმოებთან ერთად, აყღერდა ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი, ურთულესი და ამავდროულად, ყველაზე ლამაზი სიმფონია, სადაც დანის პარტია შეასრულა. თებერვალში დაგეგმილია მისი გამოსვლა პარიზში (ოპერა „ბოჰემა“), აპრილში, ოქტომბერსა და დეკემბერში - ქალაქ ტულუზაში, თეატრ კაპიტოლში („ტრავიატა“, „ბორის გოდუნოვი“).

ბათუმური საოპერო საღამო, რომელსაც მსმენელი არ აკლდა, ძალიან მაღალ დონეზე ჩატარდა. მომღერლები „ბისზეც“ რამდენჯერმე გამოვიდნენ. გთავაზობთ კონცერტის შემდგომ შთაბეჭდილებებს, რომელიც მაყურებელმა და მონაწილეებმა გაგვიზიარეს.

ეთერ ხალვაში, ბათუმის საოპერო დასის სოლისტი:

- კონცერტი იყო ძალიან მაღალი დონის, საკმაოდ რთული პროგრამით. თითოეულმა მონაწილემ შესანიშნავად წარმოაჩინა თავი. აღვნიშნავ ორკესტრის ძალიან კარგ შესრულებას, დირიჟორმა საუკეთესოდ გააერთიანა ყველაფერი და მთლიანობაში სრულყოფილი კონცერტი მივიღეთ. სასიხარულოა, რომ მუსიკალური ცენტრი კიდევ მრავალ სიახლეს გვთავაზობს.

სულხან ჯაიანი, სოლისტი:

- ძალიან კმაყოფილი ვარ. ისეთი ცნობილი მუსიკოსები, როგორიც დღევანდელ კონცერტში მონაწილეობდნენ, ბათუმში ხშირად არ გვსტუმრობენ, ამასთან, ამაყიც ვარ, რადგან ძალიან მოეწონათ ჩვენი ქალაქი, ქართული კულტურა, კერძები, მოიხიბლნენ მაყურებლის ოვაციით. ჩვენთვის, მომღერლებისთვის დიდი სიამოვნებაა, როცა მაყურებელი კმაყოფილია.

ბისერა ჩადლოვსკა, დირიჟორი:

- საქართველოს პირველად ვსტუმრობ და ძალიან ბედნიერი ვარ, რომ აქ ვიმყოფები. ორკესტრი ჩემთვის სიურპრიზი აღმოჩნდა - შესანიშნავი მუსიკოსები დამხვდნენ. გაოცებული ვარ იმ ენერგეტიკით, რაც მაყურებლიდან წამოვიდა. ამ დიდი ოვაციითაც აღფრთოვანებული ვარ.

მარიამ ჯახუტაშვილი, საოპერო დასის ვოკალის პედაგოგი:

- ბრწყინვალე კონცერტი იყო. კარგი იქნება, წელიწადში ერთ-ორჯერ თუ ჩამოვლენ უცხოელი პროფესიონალები. ამაყი ვარ ჩემი სოლისტებით. ვუსმენდი და ვხარობდი, რომ ასეთი მაღალი დონის მომღერლები გვყავს.

აქილეს მაჩადო, ტენორი ესპანეთიდან:

- უმშვენიერესი თეატრია. ორკესტრს აქვს უდიდესი დადებითი ენერგია. საქართველოში პირველად ვარ. არაჩვეულებრივი მსმენელი იჯდა დარბაზში, რაც მომღერლისთვის მნიშვნელოვანია. დიდი მადლობა ყველას, რომ ასეთი საღამო შედგა და ჩვენ მისი თანამონაწილე ვიყავით.

აკაკი ძნელაძე, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე:

- ამ ბოლო ხანს მუსიკალურ ცენტრში გამართული კონცერტებიდან ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო ყველა მიმართულებით. თავი რომ დავანებოთ მუსიკას, ხმებს, შევნიშნე, რომ კონცერტის დროს დარბაზში სრული სიწყნარე იყო, ყველა უსმენდა. ადამიანებს მოენატრათ ნამდვილი კლასიკა.

ბაჩო ნაკაშიძე, სოლისტი:

- მაკედონიაში ხშირად ვმღერი და ორივე მუსიკოსს ვიცნობდი. ტენორს რამდენიმე ხნის წინ ვირუსი ჰქონდა და სრულად ვერ იყო ფორმაში, თუმცა მაინც შესანიშნავად იმღერა. ის ძალიან ცნობილი მომღერალია. სად არ უმღერია, მათ შორის, მეტროპოლიტენ ოპერაში, ლა სკალაში. აქილეს მაჩადო ძალიან მაღალი კლასის ტენორია. შესაძლოა, ეს არ იყო მისი საუკეთესო გამოსვლა, თუმცა გამოცდილება და პროფესიონალიზმი მაინც თავისას შვრება. მინდა მივულოცო სულხანს, ძალიან კარგად იმღერა, პროგრამაც საკმაოდ რთული იყო. მადლობა დავით მუქერიას, რომ ასე შეკრიბა ორკესტრი. დირიჟორი ფანტასტიკურია, ორკესტრანტებსაც ძალიან მოეწონათ. მე და სულხანმა ეს კონცერტი დიდი ხნის წინ დავგეგმეთ, თუმცა აქამდე ვერ მოხერხდა, რადგან ჩვენი ორი ხმა - ბარიტონი და ბანი, ცოტათი „მძიმეა“. კონცერტი რომ უფრო სრულყოფილი გამოსულიყო, ერთი ტენორი დავიმატეთ, მოვიწვიეთ ბატონი აქილესი. სხვათა შორის, უცხოეთში მე და სულხანი ერთად არ გამოვსულვართ, შეიძლება ითქვას, რომ ეს ჩვენი სოლო-კონცერტი იყო.